



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფცია ქართული საპროცესო
კანონმდებლობის მიხედვით

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

მარიამ ღარიბაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი

ვენედი ბენიძე

თბილისი

2021

შინაარსი

ანოტაცია-----	3
Annotation-----	4
შესავალი-----	5
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა -----	7
თავი II. უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფციის ზოგადი მიმოხილვა -----	9
2.1. უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფციის არსი და მნიშვნელობა-----	9
2.2. უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფციის წარმოშობა და განვითარების ეტაპები---	13
2.3. უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნება და ანალიზი-----	19
2.4. უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფციის მიმოხილვა საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით-----	24
თავი III. სამართლებრივი ასპექტები -----	16
3.1. სუბიექტები-----	31
3.2. მტკიცების ტვირთი-----	35
3.3. ეჭვი/ვარაუდი-----	40
3.4. თავისუფლების პრეზუმფცია-----	42
თავი IV. მედიის როლი სამართლებრივ საკითხებში -----	45
4.1. დადებითი მხარე-----	45
4.2. უარყოფითი მხარე-----	46
თავი V. კვლევის შედეგები -----	53
დასკვნა-----	55
გამოყენებული ლიტერატურა-----	56

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფცია ქართული საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, სანამ ვრცელ მიმოხილვაზე გადავალთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცემული პრინციპი სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, რომელიც, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო კანონმდებლობის ნორმებით არის განხილული. უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი ითვლება ადამიანის უფლებების დაცვის კონსტიტუციურ გარანტად, რომელმაც ბოლო ათწლეულში, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა, რადგან სასამართლოებმა მეტი ყურადღება დაუთმეს საჩივრებს უკანონო ბრალდების თაობაზე. ნაშრომში წარმოდგენილია ის დებულებებიც, რის მიხედვითაც საშუალება გვეძლევა უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფციის არსი სრულყოფილად წარმოვაჩინოთ.

პირველი თავი ეხება ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას, მეორე თავი კი უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფციის ზოგად მიმოხილვას აქვს დათმობილი, სადაც განხილული მაქვს მისი წარმოშობის და განვითარების ისტორია, მისი არსი და მნიშვნელობა, სწორედ ეს წარმოადგენს საკამათო საკითხს, რის გამოც განხილული მაქვს მისი არსის და დასახელების დაზუსტების საკითხები, გაანალიზებულია ის ცნობილი დებულებები, რომელიც მის ცნებასთან არის დაკავშირებული. ცალკე თავი აქვს დათმობილი უდანაშაულობის პრეზუმფციის სამართლებრივ ასპექტებს, ამ თავის განხილვისას აუცილებელია დადგინდეს ვინ შეიძლება იყვნენ ამ უფლების ადრესატები და რა მასშტაბით ვრცელდება იგი კერძო სამართლებრივ ურთიერთობებზე. მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მედიის როლი სამართლებრივ საკითხებში, მოცემულ თავში განხილული მაქვს როგორც დადებითი მხარე, ისე უარყოფითი. პრობლემას წარმოადგენს ის საკითხიც, რომ მედია დაუსაბუთებლად ხელყოფს ბრალდებულის კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესებს.

ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, სარჩევს, შესავალს, ძირითად თემას (რომელიც დაყოფილია თავებად და ქვეთავებად), დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

Annotation

In accordance with previous procedural law, before the review is extended, if it is stated that it is one of the basic principles of criminal law, which is a matter of domestic and other international law. The principle of the presumption of innocence is considered a constitutional guarantee of human rights, as it has been particularly relevant in the last decade, as trials have paid more attention to complaints about back charges. The paper also presents the provisions that it can risk, as the essence of the presumption of innocence and freedom is perfectly generated.

The first chapter deals with a brief overview of the literature, the second chapter with a general overview of the presumption of its origin and development, its essence and significance, which is a controversial issue, The well-known provisions related to its concept are analyzed. A separate chapter devotes to the legal aspects of the presumption of innocence, and in discussing this chapter it is necessary to determine who may be the addressees of this right and to what extent it extends to private legal relations. An important issue is the role of the media in legal matters, in this chapter I have discussed both the pros and cons. Another problem is the fact that the media unjustifiably violates the rights and interests of the accused under the law.

The paper includes an annotation, table of contents, introduction, main topic (divided into chapters and subsections), conclusion and list of used literature.

შესავალი

თემის აქტუალობა. საკვლევი თემის აქტუალობა, იმაში მდგომარეობს, რომ მოხდეს აღნიშნული პრინციპის არსის გაგება, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო საკანონმდებლო დონეზე. შეძლებისდაგვარად გაირკვეს, მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები და ამასთან ერთად მოხდეს ამ პრობლემების გადაჭრის გზების განხილვაც. თემის აქტუალობას განსაზღვრავს ისიც, რომ მისი შინაარსი პირდაპირ კავშირშია ზოგადსაკაცობრიო დემოკრატიულ ფასეულობებთან, განსაკუთრებით კი ადამიანის დაცვის სფეროში, სწორედ ამიტომ მისი პრაქტიკაში განხორციელების ეფექტური მექანიზმების ერთ-ერთ ქმედით გარანტს, სწორედ რომ უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფციის პრინციპი წარმოადგენს. აქტუალური და ამასთან ერთად, პრობლემური საკითხია მედიის მიერ თავისი ქმედებებით, ბრალდებულის დამნაშავედ გადაქცევაც.

კვლევის მიზანი: თემის მიზანია, დავინახოთ თუ რა გზა განვლო უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფციამ წარსულიდან დღემდე. გავანალიზოთ უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფციის როლი, მისი როგორც სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი პრინციპის. ასევე უკეთ ჩავუღრმავდეთ ეროვნულ კანონმდებლობაში აღნიშნული პრინციპის მოქმედების ფარგლებს და წარმოვაჩინოთ მისი დადებითი მხარეები.

კვლევის ამოცანა: თემის ამოცანაა, განვიხილოთ აღნიშნული პრინციპის არსი, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით, შევისწავლოთ და შემდგომ გამოვაკლინოთ მისი რეალიზების პრობლემები. ასევე განვიხილოთ თუ რა ერთობა აქვს აღნიშნულ პრინციპს და ადამიანის ძირითად უფლებებს.

კვლევის მეთოდები: თემაზე მუშაობისას, კვლევა ვაწარმოე თეორიულ მასალაზე დაყრდნობით, რომელზეც ლიტერატურულ მიმოხილვაში მოგახსენებთ. შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით დაიწერა ზოგიერთი თავი და ქვეთავი, რათა უკეთ დაგვეჩვენა სხვაობა და კავშირი ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას შორის იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ. ნაშრომში ასევე გამოყენებული მაქვს ისტორიული მეთოდი. თემაში განხილულია უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფციის ისტორიული განვითარების ეტაპები.

ამ მეთოდების გამოყენებით პრობლემების დანახვამ საშუალება მომცა დამენახა ის განვითარების ეტაპები, რომელიც გამოიარა აღნიშნულმა პრეზუმფციამ, როგორც უცხოურ, ისე

ქართულ კანონმდებლობაში. ასევე საშუალება მომეცა, რომ გამეკეთებინა საკუთარი დასკვნები და ამ ყველაფერთან ერთად დამეწერა წინამდებარე ნაშრომი. დახმარება გამიწია ინტერნეტ-რესურსებმაც, რომლებიც მითითებულია სქოლიოშიც და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალშიც.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სადიპლომო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა, რომ თემა შეხებოდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფციის გარშემო. ასეთები იყო: ა. კახნიაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე, რომელმაც ყველაზე უკეთ დამანახა, უდანაშაულობის პრეზუმფციის არსის გარშემო სხვადასხვა მოსაზრებები. ნ. ლეკიაშვილის სამაგისტრო ნაშრომი, „უდანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი პრინციპის, რეალიზების პრობლემები“, დამეხმარა თითქმის ყველა თავში, ისევე, როგორც ტ. მირზაშვილის სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: „უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარებმა მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია, რომ დღევანდელი გადმოსახედიდან შემედარებინა და დამენახა ის განვითარების ეტაპები, რაც განვლო უდანაშაულობის პრეზუმფციამ, ასევე უკეთ დამენახა თავისუფლების პრეზუმფციის არსი და მნიშვნელობა, ამათთან ერთად საინტერესო იყო: შ. ტრექსელი „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“.

თემაზე მუშაობისას განსახილველი საკითხებისთვის, მესამე თავში, რაც გულისხმობს, უდანაშაულობის პრეზუმფციის სამართლებრივ ასპექტებს, გამოვიყენე შემდეგი ლიტერატურა: ხ. თანდილაშვილის „პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია“; ფ. ლიჩი „როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს“; კ. კორკელია, ი. ქურდაძე „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო, სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით“. ასევე ზემოთ ჩამოთვლილი ლიტერატურა.

თემის მეოთხე თავის განხილვისას, რაც მოიცავს მედიის როლს სამართლებრივ საკითხებში, შევვხე ისეთ საკითხებს, როგორცაა მედიის დადებითი და უარყოფითი მხარე, სადაც ვფიქრობ, რომ კარგად მააქვს ნაჩვენები მედიის ის უარყოფითი მხარე, რაც უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევასთან ასოცირდება, ამ კომპლექსული საკითხის უკეთ განხილვაში, მოცემულ ლიტერატურასთან ერთად დამეხმარა: „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI), „ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ“; პ. დაუთაშვილი, ა.კონცელაძე მედია და სისხლის სამართალი, კულტურათაშორისი კომუნიკაციები., ს. ჯორბენაძე, უ. ბახტაძე ზ. მაჭარაძე, „მედია და სამართალი“; მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, დანაშაული და ანტისოციალური ქმედება; ე. ჩაფიძე, „სამართლებრივი საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში“; ე. კვიციანი, ზ.

ნამორაძე, „ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა აღმოსავლეთ ევროპაში“; ეუთოდემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ნაგარიში, ვარშავა; საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მეორე თავი, „საქართველოს უფლებანი და თავისუფლებანი“.

გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულია ნორმატიული მასალაც, კერძოდ: საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი., ასევე, გამომადგა და დახმარება გამიწია ინტერნეტით მოძიებულმა მასალებმაც.

თავი II. უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფციის ზოგადი მიმოხილვა

2.1. უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფციის არსი და მნიშვნელობა

სანამ უშუალოდ უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფციაზე დავიწყებთ საუბარს უნდა აღვნიშნოთ, რომ სისხლის საპროცესო სამართლის პრინციპები წარმოადგენენ იმ ძირითად სახელმძღვანელო დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის შინაარსსა და სტრუქტურას. ამ პრინციპების ერთი ნაწილი მიეკუთვნება კონსტიტუციური პრინციპების კატეგორიას, აღნიშნულ პრინციპთა ნაწილს კანონმდებელი აყალიბებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 თავში, ვინაიდან ისინი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი ნორმებიდან არიან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლში გადმოტანილი, ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფცია.¹

ქართულ რეალობაში უდანაშაულობის პრეზუმფცია ვლინდება თავისებურად. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უდანაშაულობის პრეზუმფცია ჩამოყალიბებულია, როგორც უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფცია.²

ხაზი უნდა გაესვას აღნიშნული პრინციპის უაღრესად დიდ მნიშვნელობას სისხლის სამართალწარმოებისთვის, მისი დემოკრატიულობის ხარისხისთვის და უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი საკითხი უმნიშვნელოვანესი და საკვანძოა სისხლის სამართლის საპროცესო სამართლის მეცნერაბშიც.³

უდანაშაულობის პრეზუმფცია განსაზღვრავს ბრალდებულის სამართლებრივ სტატუსს, როგორც სისხლის სამართალწარმოების, ასევე ყველა სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობაში, რომელშიც ის მონაწილეობს, შესაბამისად, დაუშვებელია პირის ბრალეულობის საბოლოო დადასტურებამდე მისი სამსახურიდან გათავისუფლება, მისი საარჩევნო უფლების შეზღუდვა და სხვა.⁴

¹<https://mimomxilveli.wordpress.com/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 21.05.2021

² ნ. ლეკიაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი „უდანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი პრინციპის, რეალიზების პრობლემები“, თბ., 2020, გვ. 41

³ ა. კახიანი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე, თბ., 1998, გვ. 10

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 49

მიუხედავად იმისა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი ათ წლეულობის განმავლობაში შადგენდა პროცესუალისტების მწვავე კამათის საგანს, სადღეისოდ იგი საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოების მონაპოვარი - სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, მოწოდებული აამაღლოს სისხლის სამართალწარმოების ეფექტურობა, ემსახუროს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, შექმნას პირობები უსაფუძვლო დასჯის გამოსარიცხად. უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის შესაბამისად მხოლოდ სასამართლო განაჩენია ერთადერთი კანონიერი ატი, რომლითაც სახელმწიფო გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედებისადმი და თავად ბრალდებულისადმი. ამასთან, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაშიც კანონი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მოცემულ პირს უდანაშაულოდ თვლის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე და კანონის ეს მოთხოვნა სავალდებულოა ყველა მოქალაქის, თნამდებობის პირის, წარმოება-დაწესებულების, ორგანიზაციისა თუ სახელმწიფო ორგანოსთვის.⁵

უდანაშაულობის პრეზუმფცია ერთ-ერთი უძველესი და ძირითადი პრინციპია, რომელმაც ხელი შეუწყო სისხლის სამართლის პროცესში დემოკრატიული საწყისების განვითარებას. იგი განმტკიცებულია, როგორც საერთაშორისო სამართლებრივ, ასევე შიდასახელმწიფოებრივ აქტებში.

უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფცია სისხლის სამართლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია, რომელიც ბრალდებულის ინტერესების დაცვას ემსახურება. მის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია არამარტო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, არამედ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე და მე-13 მუხლებში, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველ, მე-3, მე-9 და მე-11 მუხლებში, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 და მე-14 მუხლებში, ადამიანის უფლებათა თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებში, ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-6 და 48-ე მუხლებში, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-7 მუხლში, ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპებში და სხვა.⁶

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უდანაშაულობის პრეზუმფცია წარმოადგენს სისხლის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპს, რომლის თანახმად, ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს

⁵ ა. კახიანიშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე, თბ., 1998. გვ. 11

⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 49

გამამტყუნებელი განაჩენით. კანონმდებლობაში უდანაშაულობის პრეზუმფციის არსებობა ემსახურება ბრალდებულის უფლებების დაცვას არა მხოლოდ სამართალმწარმოებელ ორგანოებში, არამედ საზოგადოებაშიც, აგრეთვე მისი მიზანია სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობა.⁷

უდანაშაულობის პრეზუმფციის განსაკუთრებული ბუნება იმაში ვლინდება, რომ იგი ერთდროულად წარმოადგენს როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს გარანტს, ისე ბრალდებულის უფლებას. იგი როგორც უფლება გამომდინარეობს ღირსების უფლებიდან და აღნიშნული აბსოლუტურად დაცული უფლების კონკრეტიზაციად მიიჩნევა. სისხლის სამართლის პროცესში იგი წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს, რომლის დარღვევის შემთხვევაში, პროცესის შემდგომი ეტაპების კანონით დადგენილი წესით წარმართვას აზრი ეკარგება. ამასთან, უდანაშაულობის პრეზუმფცია ემსახურება საზოგადოების მშვიდობიან თანაცხოვრებას და სწორედ ამიტომ მოითხოვს, რომ ბრალი დადგინდეს საყოველთაოდ აღიარებული სავალდებულო წესით.⁸

აღნიშნულმა პრინციპმა მოიპოვა საყოველთაო აღიარება პროგრესული საზოგადოებრიობის მხრიდან და მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დღის წესრიგში დადგა: უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის სრულყოფილად ასახვისა და პრინციპიდან გამომდინარე პროცესუალური მოთხოვნების სისხლის სამართალმწარმოების პრაქტიკაში რეალურად განხორციელების საკითხი.⁹

მოთხოვნა, რომ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული პირი მიჩნეულ იქნას უდანაშაულოდ სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება, ხელს უშლის პირისთვის დამნაშავის სტიგმის მინიჭებას და თავისუფლების წართმევის პოტენციურ შესაძლებლობას. უდანაშაულობის პრეზუმფციის პატივისცემა გულისხმობს, რომ სახელმწიფო პირებმა და გარკვეულმა გავლენიანმა აქტორებმა სისხლის სამართლებრივი დევნის ნებისმიერ ეტაპზე თავი უნდა შეიკავონ ისეთი განცხადებებისგან, რაც შეიცავს წინასწარ დასკვნებს სასამართლო გამოძიების შედეგის შესახებ.¹⁰

კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება, კანონმდებლობის დემოკრატიზაცია, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა ყოველი დემოკრატიული სახელმწიფოს უპირველეს საზრუნავს შეადგენს, რაც სათანადოდაა ასახული სამართალმწარმოების კონსტიტუციური

⁷ ა. კახნიაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე, თბ., 1998. გვ. 55

⁸ ბ. თანდილაშვილი, პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, გვ. 164

⁹ ა. კახნიაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე, თბ., 1998. გვ. 54

¹⁰ ეუთო. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, საქართველო, ვარშავა 2014, გვ. 66-67

პრინციპების სისტემაში. ამ ინსტიტუტებიდან კი უმნიშვნელოვანეს წარმოადგენს მსოფლიო ცივილიზაციაში ე.წ ბურჟუაზიული სამართლის სისტემიდან მოსული ზოგადსაკაცობრიო ფასეულობა - უდანაშაულობის პრეზუმფცია - „სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული პრინციპი, რომელიც მოწოდებულია დაიცვას ადამიანის უფლებები, გამორიცხოს უსაფუძლო ბრალდება და გასამართლება“. იმის მიუხედავად, რომ არ გვექნა ამ პრინციპის ერთიანი ფორმულირება, მისი შინაარსი გამომდინარეობს კონსტიტუციის ცალკეული მუხლებიდან და სისხლის სამართალწარმოების ზოგიერთი მუხლებიდან, კერძოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის 160 მუხლში, ძირითადი კანონის რანგში განმტკიცებული იყო უდანაშაულობის პრეზუმფციის საფუძველი, მისი ძირითადი არსი, რომ: „არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლის სამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლო განაჩენით და კანონის შესაბამისად“, ეს ფორმულირება თითქმის უცვლელად იქნა გადატანილი ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებში, მათ შორის საქართველოს ადრე მოქმედ კონსტიტუციაშიც.¹¹

სისხლის სამართალწარმოების პროცესში უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა უმნიშვნელოვანესია, რადგან იგი განსაკუთრებულ მიზანს, სახელმწიფოს მხრიდან ბრალდებული უფლებების დარღვევის აღკვეთას ემსახურება. უდანაშაულობის პრეზუმფცია სახელმწიფოს ავალდებულებს დაიცვას ბრალდებულის სტატუსი და არ მოხდეს მისი დამნაშავედ გამოცხადება დანაშაულის დამტკიცებამდე.¹²

კანონმდებლობაში უდანაშაულობის პრეზუმფციის არსებობა ემსახურება ბრალდებულის უფლებების დაცვას არა მხოლოდ სამართალმწარმოებელ ორგანოებში, არამედ საზოგადოებაშიც, აგრეთვე მისი მიზანია სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობა. უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტიდან და მთელი სამართალწარმოების პროცესზე ვრცელდება, მანამ სანამ საბოლოო განაჩენი არ იქნება გამოტანილი. იგი ბრალდებულის სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავს და სრულყოფილი დაცვის განხორციელებას უწყობს ხელს.¹³

უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება არ მოითხოვს უდანაშაულობის დასამტკიცებლად სასამართლოსთვის მიმართვის უფლების არსებობას. სხვა სიტყვებით, არ არსებობს სასამართლო

¹¹ ა. კახნიაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე, თბ., 1998, გვ. 4

¹² ტ. მირზაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი, „უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები“, თბ., 2019, გვ. 5

¹³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 49

განხილვამდე სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. ეს საკვებით ლოგიკურია, რადგან თუ პირი უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება, გაუგებარია რატომ უნდა არსებობდეს იგივე ფაქტის დადასტურების მიზნით, სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.¹⁴

როგორც უკვე აღვნიშნეთ პრეზუმფცია განსაზღვრავს ბრალდებულის სამართლებრივ სტატუსს არა მხოლოდ სისხლის სამართალწარმოებაში, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობებშიც, რომელშიც იგი მონაწილეობს.

2.2. უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფციის წარმოშობის ისტორია და განვითარების ეტაპები

უდანაშაულობის პრეზუმფცია ხასიათდება დიდი ისტორიით და წარმოადგენს ადამიანის და მოქალაქის უფლებათა 1789 წლის 28 აგვისტოს ცნობილი დეკლარაციის ნაწილს. ის აგრეთვე შეტანილი იყო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველი პროექტის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში: „ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს, ჩაითვალოს უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება საჯარო სასამართლო განხილვით, რომელზეც მას ჰქონდა თავის დაცვისთვის აუცილებელი ყველა გარანტია“. აქ უდანაშაულობის პრეზუმფცია მჭიდრო კავშირშია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებასთან. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის ტექსტი ყველაზე ახლოს დგას ამ უფლების ასეთ განმარტებასთან, თუმცა გაცილებით დეტალურია „თავის დაცვისთვის აუცილებელ გარანტიებთან“ მიმართებაში.¹⁵

თანამედროვე სამართალში უდანაშაულობის პრინციპმა კიდევ უფრო ფართო რეგულირება ჰპოვა და იგი განმტკიცებულია არა ერთ საერთაშორისო თუ ნაციონალურ ნორმატიულ აქტში. მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (მე-11 მუხლი), საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მე-14 მუხლი), სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდებაში (66-ე მუხლი), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაში (მე-6 მუხლი), ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიაში

¹⁴ შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პრეცესში, თბ 2009, გვ. 179

¹⁵ იქვე, გვ. 176-177

(48-ე მუხლი), საქართველოს კონსტიტუციაში (მუხლი 31), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (მე-5 მუხლი). ევროკავშირმა კი, 2016 წლის 9 მარტს მიიღო ცალკე დირექტივა უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებით, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი სისხლის სამართალში მის მნიშვნელობას.¹⁶

ისტორიისთვის ცნობილია საკითხის ამ სახით გადაწყვეტილების პრაქტიკაც, როდესაც შუა საუკუნეებში, ბრალდებული პროცესის უფლებო ობიექტად ითვლებოდა, ხოლო გამოძიების ატრიბუტებს თვითნებური დაკავება და სასტიკი წამება შეადგენდნენ. წამებით მიღებული აღიარება კი ძირითად მტკიცებულებად მიიჩნეოდა. გამოძიებული, იმავდროულად, ბრალმდებელიც იყო და მოსამართლეც.¹⁷

ჯერ კიდევ, ანტიკურ ხანაში აღიარებულ იქნა, რომ უდანაშაულო ადამიანის დასჯა გაცილებით უფრო უარესი იყო, ვიდრე დამნაშავისათვის თავისუფლების მინიჭება. ხამურაბის კანონების თანახმად, თუ ბრალმდებელი ვერ დაამტკიცებდა პირის დამნაშავეობას, მაშინ მას უბრალო სასჯელის შეფარდება ან სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა. უდანაშაულობის პრეზუმფცია ანტიკურ საბერძნეთშიც მოქმედებდა. საზოგადოებას არ ჰქონდა უფლება ბრალდებულს ისე მოქცეოდა, როგორც დამნაშავეს. ბერძენი ორატორები მიიჩნევდნენ, რომ სასჯელის შეფარდება მხოლოდ საქმის სასამართლოში განხილვის დამთავრებისა და პირის მსჯავრდების შემდეგ იყო დასაშვები, რადგანაც მათ სინდისი არ აძლევდათ უფლებას, სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე დაესაჯათ ადამიანი. რომაული სამართალიც მტკიცების ტვირთს ბრალდების მხარეს აკისრებდა და თვლიდა, რომ უმჯობესი იყო დამნაშავე დასხლტომოდა სასჯელს, ვიდრე უდანაშაულოსათვის შეეფარდებინათ სიკვდილით დასჯა. 212 წლით დათარიღებულ რომის კონსტიტუციის თანახმად, ბრალმდებელს უნდა ჰქონოდა მტკიცებულებები. თავისუფლების დიდი ქარტიის (Magna Carta) თანახმად კი, პირის გასამართლების უფლებამოსილება არა მეფეს, არამედ მხოლოდ სამართლიან სასამართლოს შეეძლო.¹⁸

რომაული სამართლის ძეგლები უძველესი და უმნიშვნელოვანესი სამართლის წყაროებია, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს თანამედროვე სამართლის ისეთი ფორმით ჩამოყალიბებაში, როგორიც ის დღეს არის.¹⁹

¹⁶ ბ. თანდილაშვილი, „პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია“. გვ. 164-165

¹⁷ ა. კახნიაშვილი, „უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე“, თბ., 1998, გვ. 11

¹⁸ ბ. თანდილაშვილი, „პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია“. გვ. 164

¹⁹ ა. კახნიაშვილი, „უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე“, თბ., 1998, გვ. 50

რომის სამართლის ერთ-ერთი თვალსაჩინო სამართლის წყაროა იუსტინიანეს კოდექსი, სადაც 22.3.2 წესად ვაწყდებით უდანაშაულობის პრეზუმფციის მსგავს ნორმას, რომელიც შეეხება მტკიცებულებებსა და მტკიცების ტვირთის დაკისრების წესს. იქ პირდაპირ და გარკვევით წერია, რომ მტკიცების ტვირთის მატარებელია ბრალმდებელი და არა ბრალდებული: „Ei incumbit probatio qui dicit, non qui negat.“²⁰

ისტორიისათვის ცნობილია საკითხის ამ სახით გადაწყვეტის პრაქტიკაც, როდესაც, შუა საუკუნეებში, ბრალდებული პროცესის უფლებო ობიექტად ითვლებოდა, ხოლო გამოძიების ატრიბუტებს თვითნებური დაკავება და სასტიკი წამება შეადგენდნენ, წამებით მიღებული აღიარება კი ძირითად მტკიცებულებად მიიჩნეოდა. გამომძიებელი, იმავდროულად, ბრალმდებელიც იყო და მოსამართლევ. მიუხედავად იმისა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი ათ წლეულების განმავლობაში შეადგენდა პროცესუალისტების მწვავე კამათის საგანს, სადღესოდ იგი საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოებრიობის მონაპოვარი – სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, მოწოდებული აამაღლოს სისხლის სამართალწარმოების ეფექტურობა ემსახუროს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, შექმნას პირობები უსაფუძვლო დასჯის გამოსარიცხად. უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის შესაბამისად მხოლოდ სასამართლო განაჩენია ერთადერთი კანონიერი აქტი, რომლითაც სახელმწიფო გამოხატავს. თავის დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედებისადმი და თავად ბრალდებულისადმი. ამასთან, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაშიც კანონი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირს უდანაშაულოდ თვლის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე და კანონის ეს მოთხოვნა სავალდებულოა ყველა მოქალაქის, თანამდებობის პირის, წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციისა თუ სახელმწიფო ორგანოსათვის.²¹

როგორ უკვე აღვნიშნეთ, უდანაშაულობის პრეზუმფცია უმველესი პრინციპია და მას დიდი ისტორია აქვს. ის ჯერ კიდევ 1789 წლის 28 აგვისტოს ადამიანის და მოქალაქეთა დეკლარაციის ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა მისი ტექსტი სხვადასხვაგვარადაა ჩამოყალიბებული, ასე მაგალითად: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ სამოქალაქო პაქტი საუბრობს რომ პირს უფლება აქვს ჩაითვალოს უდანაშაულოდ მისი ბრალეულობის დამტკიცებამდე, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ამბობს რომ პირი ითვლება უდანაშაულოდ ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. დღეს კანონის ტექსტი შემდეგნაირადაა

²⁰ ნ. ლეკიაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი „უდანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი პრინციპის, რეალიზების პრობლემები“, თბ., 2020, გვ. 20

²¹ ა. კახიაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე, თბ., 1998, გვ. 11

ჩამოყალიბებული: „პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით.“ აღნიშნული უმნიშვნელო ცვლილებების მიუხედავად ძირითადი შინაარსი მაინც უცვლელი რჩება, მნიშვნელობას არ კარგავს და წლებს უძლებს.²²

საერთაშორისო პაქტის მომზადებისას თითქმის არ ჰქონია ადგილი დისკუსიებს ამ უფლების ტექსტის შესახებ. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია ორი საკითხი. პირველი, ერთ-ერთ ადრეულ პროექტში გარანტია საკმაოდ ზოგადი ფორმით იყო ჩამოყალიბებული. იმის თქმის ნაცვლად, რომ გარანტია ვრცელდებოდა ყველაზე, „ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა“, მასში გამოყენებული იყო სიტყვები „ყველა პირი“ „ყველა“ ან როგორც ბატონმა კასინმა განაცხადა, „არავინ არ ჩაითვლება დამნაშავედ“. ტექსტი მოგვიანებით შეიცავალა, რადგან ფრანგული ვერსია შეიცავდა სიტყვას „accuse“. ინგლისური ტექსტი ადაპტირებული იქნა ფრანგული ვერსიის შესაბამისად. ამის მიზეზი არ არის მოცემული და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ავტორები ვერ ხედავდნენ რაიმე განსხვავებას ორ ვერსიას შორის. მეორე საკითხი შეეხება საერთაშორისო პაქტის მოსამზადებელ სამუშაოებს. შემოთავაზებული იყო გარანტიაში სიტყვების „გონივრულ ეჭვს მიღმა“ შეტანა, მტკიცების აუცილებელი სტანდარტის განსაზღვრის მიზნით. თუმცა აღნიშნული წინადადება (მართებულად) იქნა უარყოფილი, რადგან ის თავისთავად იგულისხმებოდა სიტყვებში „ჩაითვალოს უდანაშაულოდ, ვიდრე არ დამტკიცდება მისი ბრალეულობა“.²³

სწორედ ამიტომ, სისხლის სამართლის პროცესი ნელ-ნელა გაინკვიზიციურდა და ბრალმდებელი გახდა მოსამართლევ, მსაჯულიცა და დამცველიც, ბრალდებულს კი თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად დაევალა ისეთი კეთება, რაც დღევანდელი გადასახედიდან აბსურდათაც კი მოგვეჩვენება. ასეთი იყო, მაგალითად, 12 ადამიანის შეგინება, წყლით გამოცდა - თუ პირი დაიხრჩობოდა, უდანაშაულო იყო, თუ გადარჩებოდა - დამნაშავე, კოცონზე დაწვა - თუ თავს დაიხსნიდა უდანაშაულო იქნებოდა, თუ ვერ მოასწრებდა თავის დახსნას - დამნაშავე. ყველაზე უცნაურ მტკიცებულებად კი მიიღებოდა საჯაროდ იმავე ქმედების განმეორება, რაშიც ბრალდებულს ბრალი ედებოდა. აღნიშნული პროცესის ფორმა გახდა თავად-აზნაურთა და

²² ტ. მირზაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი, „უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები“, თბ., 2019, გვ. 7-8

²³ შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ 2009, გვ. 177

ბატონთა მიზნების გამტარებელი. უმეტესწილად მმართველნი ერთობოდნენ მათზე დაბალი ფენის ხალხით, მათ საჯაროდ ამცირებდნენ, აწამებდნენ და კლავდნენ. ამას კი კანონით ნიღბავდნენ.²⁴

უდანაშაულობის პრეზუმფციამ, სისხლის სამართლის პროცესის პრინციპად ჩამოყალიბებამდე ხანგრძლივი, შეიძლება ითქვას, მრავალსაუკუნოვანი გზა განვლო. „უდანაშაულობის პრეზუმფციის“ მსგავსი ფორმულირება (PRAESUMPTIO BONI VIRI) ცნობილი იყო ძველი რომის სამოქალაქო სამართლისათვის და მასში ივარაუდებოდა, რომ სამოქალაქო სამართალ-ურთიერთობათა მონაწილენი მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად, ხოლო ვინც განაცხადებდა საწინააღმდეგოს, ვალდებული იყო დაემტკიცებინა კიდეც ბრალდება. თუკი, ძველი რომის სამოქალაქო სამართალი, დაფუძნებული კვრძო საკუთრებაზე, იმ დროისათვის სრულყოფილი იყო და ქონებრივი დავების დროს ფართოდ გამოიყენებოდა ზემოთმოყვანილი პრინციპი, სამაგიეროდ, სულ სხვა რეჟიმში წყდებოდა სისხლის სამართლის საქმეები და ფართოდ ეყრდნობოდა ცრუ დასმენებს, ფანტასტიკურ ბრალდებებსა და წამებით მიღებული აღიარებებს. „იმპერიის პერიოდში რომში ფეხს იკიდებს და მკვიდრდება ინკვიზიციური პროცესი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოსამართლის ხელში საგამომძიებლო და სასამართლო ფუნქციების თავმოყრა. დამამტკიცებელი საბუთების „დედოფლად“ აღიარებულია თვითაღიარება“²⁵

შუასაუკუნეების ინკვიზიციურ პროცესებში დამკვიდრებული იყო ეგრეთწოდებული „დანაშაულობის“ (ბრალეულობის) პრეზუმფციაა“, რომლის მიხედვით განსასჯელი დამნაშავედ ივარაუდებოდა და სასჯელის გამოტანა, ძირითადად ბრალდებულისგან წამებით მიღებულ აღიარებასა და მოწმეების ჩვენებებს ემყარებოდა,²⁶

უდანაშაულოდ ცნობის ინტიტუტის შემოღება უკავშირდება ბრიტანელ სამართალმცოდნეს და ადვოკატს სერ უილიამ გაროვის სახელს.²⁷ 1791 წელს პროცესზე Old Bailey - ში მან პირველად გამოიყენა ეს თეორია ბრალდებულის დაცვის განხორციელებისას. გაროუ მომხრე იყო ბრალდების მხრიდან მყარი არგუმენტაციის წარდგენის ვალდებულების შემოღებისა, რადგან წინასწარ ბრალდებულის გარშემო „დამნაშავეობის“ განწყობის შექმნის მცდელობამ ბრალმდებლის მხრიდან, კინაღამ რომ დაარწმუნა მის ერთ-ერთ პროცესზე ნაფიცი მსაჯულები ბრალდებულის დამნაშავეობაში, მაშინ როდესაც პროკურორის სამსახურს არ ჰქონდა წარდგენილი სათანადო

²⁴ ნ. ლეკიაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი „უდანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი პრინციპის, რეალიზების პრობლემები“, თბ., 2020, გვ. 20

²⁵ ვ. მეტრეველი, რომის სამართალი, თბ., 1995, გვ. 123

²⁶ ა. კახნიაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე, თბ., 1998, გვ. 26

²⁷ იქვე, გვ. 23

მტკიცებულებები.²⁸ ლემონის განცხადება არ ეხებოდა მხოლოდ მტკიცების ტვირთის დაკისრებას. ის აგრეთვე საუბრობდა ბრალდებულის იმ უფლებებზე, რომელიც არ უნდა შეიზღუდოს არც ერთ შემთხვევაში. ასეთ უფლებად იგი გვისახელებდა კვალიფიციური დაცვის უფლებას. იგი საუბრობდა შეჯიბრებითობის პრინციპის დამკვიდრების აუცილებლობაზეც მოსამართლის ან ნაფიც მსაჯულთა და სუბიექტურ და ობიექტურ სავალდებულო დამოუკიდებლობაზე. მას სურდა, რომ მოსამართლეს ან ნაფიც მსაჯულებს თავიანთი ინიციატივით მხარი არ დაეჭირათ სახელმწიფოსათვის ბრალეულობის დამტკიცებაში და სახელმწიფოს ეს თავად მოეხერხებინა, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს რესურსი შეუზღუდავია, რასაც ვერ ვიტყვით ჩვეულებრივი ადამიანის - ბრალდებულის რესურსებზე. მისი თეორიის თანახმად, სახელმწიფოს ეკისრებოდა ტვირთი, ემტკიცებინა, ჩაიდინა თუ არა მართლაც ბრალდებულმა ის დანაშაული, რაშიც მას ბრალი ედებოდა. რა თქმა უნდა, მოპასუხესაც უნდა ჰქონოდა თავისი უდანაშაულობის დამტკიცების უფლება და საშუალება. ამით ბალანსი არ დაირღვეოდა და წონასწორობა აღდგებოდა. მან ასევე ისაუბრა ჩვენების მნიშვნელობაზე, როდესაც ჩვენებას იძლევა თავად ბრალდებული ან მასთან დაახლოებული პირი და ბრალმდებელი ამ ჩვენებას იყენებს სისხლის სამართლის პროცესზე. იგი მოითხოვდა ასეთი ჩვენებების საქმიდან ამოღებას, თუ ეს ბრალდებულის მდგომარეობას აუარესებდა. ის საუბრობდა ნაფიც მსაჯულთა და მოსამართლეთა ადამიანური ბუნების ფაქტორზე და ეწინააღმდეგებოდა ნებისმიერი ფორმის წინასწარ შექმნილ განწყობას, მითუმეტეს მაშინ, როდესაც განწყობა იქმნებოდა მარტო იმიტომ, რომ ბრალი წაუყენეს ექვმიტანილს. უდანაშაულობის პრეზუმფციის შესახებ აგრეთვე საუბრობდა უილიამ ბლეესტონი თავის 1760 წლის პუბლიკაციაში. იგი აღნიშნავდა, რომ სჯობს 10 დამნაშავე დარჩეს დაუსჯელი, ვიდრე ერთი უდანაშაულო დაისაჯოს ტყუილუბრალოდ - „It is better that ten guilty persons escape than that one innocent suffer.“²⁹

საფრანგეთში. 1808 წელს, ნაპოლეონის დროს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 154-ე მუხლით, უდანაშაულობის პრეზუმფციის საწინააღმდეგო პრინციპი ინერგებოდა, რომლის ძალითაც სამართალდამრღვევი, მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაურჩებოდა სასჯელს. თუ თავად დამტკიცებდა თანამდებობის პირის მიერ შედგენილი ოქმის სიყალბეს, ანუ ბრალეულობის საკითხი თავიდანვე გადაწყვეტილად ითვლებოდა, ხოლო სასამართლო, მხოლოდ პოლიციის მიერ შედგენილი დოკუმენტების ჭეშმარიტებას არკვევდა და მათში ფორმულირებულ ბრალდებებს

²⁸ ა. კახნიაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდე სტადიებზე, თბ., 1998, გვ. 23

²⁹ ნ. ლეკიაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი „უდანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი პრინციპის, რეალიზების პრობლემები“, თბ., 2020, გვ. 23-24

სამართალდარღვევათა ფაქტების გამოძიების გარეშე ადგენდა. უდანაშაულობის პრეზუმფციის საპირისპირო პრინციპს ამკვიდრებდა ნაპოლეონის კოდექსის სხვა ნორმაც, რომლითაც „ყოველი მათხოვარი ან მაწანწალა, რომელსაც აღმოაჩნდება 100 ფრანკზე მეტი ღირებულების ერთი ან რამოდენიმე ნივთი და რომელიც ვერ შეძლებს მათი შემენის კანონიერების დამტკიცებას, დაისჯება კანონის 276-ე მუხლის შესაბამისად“. ამრიგად, პირა მიჩნეულია ბრალეულად ქონებრივი დანაშაულის ჩადენაში, მიუხედავად იმისა, რომ თვით დანაშაულის ფაქტის შესახებ, სასამართლოსათვის, არაფერია ცნობილი.³⁰

განსაკუთრებული აქტუალობა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპმა იმ უკანასკნელ წლებში შეიძინა, როდესაც საქართველო დაადგა სამართლებრივ სახელწიფოდ ჩამოყალიბების გზას და დღის წესრიგში დადგა სისხლის სამართალწარმოებაში ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტური მექანიზმების დამკვიდრების საკითხი.³¹

2.3. უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნება და ანალიზი

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მნიშვნელობასა და მისი განვითარების საკითხების განხილვასთან ერთად, მიზანშეწონილად მიმაჩნია, გარკვეული ადგილი თვით ტერმინ „პრეზუმფციის“ განმარტებისა და მასთან დაკავშირებული, პრაქტიკაში დამკვიდრებული რიგი ცნებისა და შეხედულებებისთვის დამეთმო, რაც კიდევ უფრო უკეთ გაგვარკვევს განსახილველი პრინციპის არსში.

ლათინური წარმოშობის ტერმინ „პრეზუმფციას“ ქართული ვარაუდი შეეტყვისება, ხოლო პრაქტიკაში დამკვიდრებულია ორი მნიშვნელობით: სალიტერატუროთი ნიშნავს „აღბათობაზე დაფუძნებულ ვარაუდს“, ხოლო სამართლებრივი მნიშვნელობით: „რომელიმე დებულების, ფაქტის ან სუბიექტის უფლების მიჩნევას იურიდიულად მართებულად, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო“. ³²

ტერმინი „უდანაშაულო“ ასევე არ არის ერთმნიშვნელოვანი. „უდანაშაულო“ არ ნიშნავს „უდანაშაულოს“ ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. ის გულისხმობს, რომ პირი არ არის ბრალეული იმ დანაშაულის ჩადენაში, რომელიც მას ბრალად ედება. თუმცა თვით ეს

³⁰ ა. კახნიაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე, თბ., 1998, გვ. 28

³¹ იქვე. გვ. 72

³² იურიდიული ტერმინოლოგია, თბ., 1963, გვ. 220

ფორმულირებაც ღიაა ინტერპრეტირებისთვის. კერძოდ, წამოიჭრება ორი კითხვა: პრეზუმფცია მიუთითებს ბრალეულობაზე მისი ტექნიკური, სისხლისსამართლებრივი გაგებით ("mens rea"), თუ მხოლოდ ობიექტურ ქმედებას გულისხმობს? პრეზუმფციის მოქმედება შეზღუდულია თუ არა მხოლოდ იმ ქმედებით, რომელიც, საქმეში არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ სასჯელს?³³

„პრეზუმფცია“ სალიტერატურო მნიშვნელობით რომ გაგვეგო გამოვიდოდა, რომ ბრალდებულები უმრავლეს შემთხვევაში უდანაშაულონი არიან, რაც ბუნებრივია ასე არ არის. მეცნიერებაში იყო მცდელობა უდანაშაულობის პრეზუმფცია გატანილი ყოფილიყო სისხლის სამართლის პროცესის გარეთ, შესაბამისობაში მოყვანილიყო სალიტერატურო გაგებასთან და განხილულიყო, როგორც ვარაუდი, მოქალაქეთა არაბრალეულობისა - დანაშაულის ჩადენაში. მეცნიერთა უმრავლესობა არ იზიარებს ამ პოზიციას და თვლის, რომ დამკვიდრებული მნიშვნელობით უდანაშაულობის პრეზუმფცია ვარაუდი კი არა – სამართლებრივი დებულებაა და არ არის აუცილებელი ხელოვნურად მივიყვანოთ ცნებამდე, რომელთანაც მას კავშირი არ აქვს. უდანაშაულობის პრეზუმფცია მხოლოდ იმ პირთ ეხება, რომლებიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემულნი, ხოლო „ყოველ მოქალაქეს სჭირდება არა უდანაშაულობის პრეზუმფცია, არამედ პიროვნების ხელშეუხებლობის გარანტია. უდანაშაულობის პრეზუმფცია კი ქმედითი გარანტიაა სწორედ ბრალდებულის დაუსაბუთებელი დასჯის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოებაში“.³⁴

შესაბამისად პრეზუმფცია განსაზღვრავს ბრალდებულის სამართლებრივ სტატუსს არა მხოლოდ სისხლის სამართალწარმოებაში, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობებშიც, რომელშიც იგი მონაწილეობს.

პრინციპი – დანაშაული არ არსებობს ბრალის გარეშე – საყოველთაოდ აღიარებულია სისხლის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპად, არსებობს შემთხვევები, როდესაც ის არ არის ბოლომდე დაკმაყოფილებული. მართლაც, ამ მხრივ, სისხლის სამართლის სფეროში მოღვაწე მეცნიერების ერთ-ერთი მთავარი მიზანია იდეალსა და რეალობას შორის არსებული სხვაობის შემცირება.³⁵

მიუხედავად, იურიდიულ საზოგადოებაში აზრთა გარკვეული სხვადასხვაობსა, საზოგადოდ პრეზუმფციები, ძირითადად, ფაქტობრივ (ბუნებრივ) და სამართლებრივ (ლეგალურ)

³³ შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პრეცესში, თბ., 2009, გვ. 179

³⁴ ა. კახნიაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე, თბ., 1998, გვ. 12

³⁵ შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პრეცესში, თბ., 2009, გვ. 180-181

პრეზუმფციებად არიან დაყოფილნი. „პირველნი არ არიან კანონში მოცემულნი, მაგრამ გამოიყენებიან მტკიცებულების პროცესში, ხოლო მეორენი პირდაპირ არიან კანონში მითითებულნი და შესაძლებელია გამოდინარეობდნენ კანონიდან. ფაქტობრივ (ზოგადსაკაცობრიო) პრეზუმფციებად მიიჩნევა სავარაუდო დასკვნები, რომლებიც არაა ასახული კანონში და ამდენად არც იურიდიული მნიშვნელობა გააჩნიათ.³⁶

საუბარია იმაზე, რომ ადამიანი „ითვლება“ უდანაშაულოდ. ასეთ პრეზუმფციას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე მნიშვნელობა. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ის მიუთითებს გონებრივ მდგომარეობაზე. ამ შემთხვევაში პრეზუმფციის დადგენა გულისმობს პირის იძულებას, გრძნობდეს ან იფიქროს გარკვეული მიმართულებით. ცხადია, რომ მოცემულ კონტექსტში ეს ვერ იქნება ტერმინის ჯეროვანი განსაზღვრება. ფიქრებისა და გრძნობების რეგულირება შეუძლებელია. ლოგიკური თვალსაზრისით, პრეზუმფცია არის ჰიპოთეზა, ფიქციური პოზიცია, რაც ნებისმიერი ექსპერიმენტის ან მეთოდური კვლევის ამოსავალი წერტილია და რომელსაც მივყავართ ჰიპოთეზის დადასტურებამდე ან უარყოფამდე. თუმცა არც ეს არის დამაჯერებელი ინტერპრეტაცია. სისხლის სამართალწარმოება ხორციელდება არა იმ ჰიპოთეზაზე დაყრდნობით, რომ ბრალდებული უდანაშაულოა, არამედ მისი სავარაუდო დამნაშავეობის საფუძველზე. სწორედ „ექვი“ უდევს საფუძვლად სისხლისსამართლებრივ დევნას. სამართლებრივ ინსტრუმენტებში მოცემული პრეზუმფცია უნდა გავიგოთ როგორც სახელმძღვანელო პრინციპი, რომელიც არეგულირებს იმ პირთა მიმართ მოპყრობას, რომლებიც ჯერ არ არიან მსჯავრდებულნი. ასეთი მოპყრობა არ უნდა გამოირიცხავდეს მათ უდანაშაულობას. ექვიტანილის მიმართ ორი ტიპის ქცევა შეიძლება გამოვყოთ: ფაქტობრივი და ვერბალური. დაუშვებელია რაიმე ღონისძიების განხორციელება ან შეზღუდვის დაკისრება, რომელიც გულისხმობს ექვიტანილის ბრალეულობას. უფრო მეტიც, აკრძალულია იმის თქმა, რომ ექვიტანილი დამნაშავეა. გარკვეული გარემოებების არსებობისას, როგორცაა სასამართლოს მიერ პირის უდანაშაულობის დადასტურება, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ექვის გამოთქმაც კი დაუშვებელია.³⁷

ი. ლიბუსი სხვა მკვლევარებზე „შორს“ წავიდა და უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნობილ ფორმულირებაში უკვე „ორი პრეზუმფციული დებულება“ დაინახა. ერთი, რომ „ბრალდებული ითვლება უდანაშაულოდ“, მეორე ის, რომ „ბრალდებულის უდანაშაულობა გრძელდება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე“. ამასთან, ვინაიდან ავტორი განსახილველ პრინციპს, ძირითადად,

³⁶ ა. კახნიაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე, თბ., 1998, გვ. 13

³⁷ შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პრეცესში, თბ., 2009, გვ. 179

ბრალეულობის საკითხს უკავშირებს, ბუნებრივია მისი უარყოფაც დასაშვებად მიიჩნია. როგორც ვხედავთ, ი. ლიბუსს განსახილველი პრინციპი სამართლებრივი პრეზუმფციების საერთო რიგში რომ „მოეთავსებინა“ იძულებული გახდა თავად პრეზუმფციების განმარტებაში შეეტანაგარკვეული ცვლილებები, საყოველთაოდ მიღებული ვარაუდის სანაცვლოდ „ითვლება“ ეხმარა და „უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც მოქალაქეთა კეტილსინდისიერების პრეზუმფციის ზღვრული შემთხვევა განეხილა.³⁸

უდანაშაულობის პრეზუმფციის არსის შეუთავსებლობა სამართლებრივი პრეზუმფციის ცნებასთან შენიშნა რ. რადევამაც, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსახილველ პრინციპში არ შეინიშნება საზოგადოდ, პრეზუმფციებისათვის დამახასიათებელი კავშირები ფაქტებს შორის და არ შეიძლება მისი სამართლებრივი პრეზუმფციის სახით გაგება, რადგან უმრავლეს შემთხვევაში, ვარაუდი არ მართლდება და ბრალდებული დამნაშავედ მიიჩნევა. ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ ბულგარელი მეცნიერი განსახილავ პრინციპს წმინდა სისხლის სამართლის საპროცესო ინსტიტუტად განიხილავს და მას „ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციას“ უწოდებს.³⁹

ა. ლარინი, თავის ნაშრომში „უდანაშაულობის პრეზუმფცია“, საფუძვლიანად განიხილავს რომ აღნიშნული პრინციპის მოქმედებას სისხლის საპროცესო ურთიერთობაში, თავიდანვე შენიშნავს, რომ ტერმინი, „პრეზუმფცია“ არც ერთი დამკვიდრებული მნიშვნელობით (ლიტერატურული, ფილოსოფიური, ლოგიკური) არ ასახავს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის არსს.⁴⁰

როგორც დავინახეთ, ი. ლიბუსიც და ა. ლარინიც მსჯელობებში უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპთან მიმართებაში აქცენტს პრეზუმფციის (ვარაუდის) ნაცვლად „ითვლებაზე“ აკეთებენ. გარდა ამისა, მეცნერთა ნაშრომების გაცნობით იმაშიც ვრწმუნდებით, რომ როდესაც საქმე განსახილველ პრინციპს შეეხება ავტორები „არაბრალეულობის“ ქვეშ, ძირითადად „დანაშაულის ჩადენაში არაბრალეულობას“, ანუ „უდანაშაულობას“ გულისხმობენ.⁴¹

უნდა განვიხილოთ, რამდენად გამართლებულია პრეზუმფციის მოქმედება მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულის პირების მიმართ. ზემოთ მოცემული დებულებების შემუშავების ისტორია არ არის ამ მხრივ ერთმნიშვნელოვანი. ზოგიერთი პირვანდელი ტექსტი არ მოითხოვდა პრეზუმფციის გავრცელებას მხოლოდ სისხლის სამართლის

³⁸ ა. კახნიაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე, თბ., 1998. გვ. 20

³⁹ იქვე. გვ. 20-21

⁴⁰ იქვე. გვ. 21

⁴¹ იქვე. გვ. 23

კონტექსტში. თუმცა ნათელია, რომ პრეზუმფცია დაკავშირებული უნდა იყოს დანაშაულებრივ ქმედებასთან. ის არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მაგალითად, დეპორტაციასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში. სრულიად ლეგიტიმურია სამართლიანი სასამართლო განხილვის სპეციალური უფლებების მოქმედების სფეროს შეზღუდვა სისხლის სამართალწარმოებით, განსხვავებით სამოქალაქო, ადმინისტრაციული, დისციპლინური თუ სხვა სახის საქმეებისგან. ეს უფლებები არსობრივად ებმის სისხლის სამართლის კონტექსტს. თუმცა უდანაშაულობის პრეზუმფციის შემთხვევაში, განსხვავებული ვითარებაა. რატომ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირი უდანაშაულოდ? ის ვინც არ არის ბრალდებული უნდა მივიჩნიოთ დამნაშავედ? ასეთი მდგომარეობის არსებობა აბსურდული იქნებოდა. შეიძლება არგუმენტის შეტრიალება და კითხვის შემდეგნაირად დასმა: ის პირი, რომელიც დამნაშავედ ჩათვალოს, ავტომატურად არის ბრალდებული სისხლის სამართლის დანაშაულში? უნდა აღინიშნოს, რომ „ბრალდებული“ ტექნიკური ხასიათის ცნებაა და გულისხმობს კომპეტენტური ორგანოების ან პირების, კერძოდ, პოლიციის, პროკურორის, გამომძიებლის, მოსამართლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ ფორმალური ქმედების განხორციელებას, რომელსაც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე აქვს ბრალდების წარდგენის უფლებამოსილება. თუმცა, ტერმინი „ბრალდებული“ ჩამოყალიბებულია ავტონომიურ ცნებად ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ორგანოების მიერ. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ საჯარო პირის მიერ ამა თუ იმ პიროვნების ბრალეულობის შესახებ გამოთქმული მოსაზრება, როდესაც ის ჯერ არ არის მსჯავრდებული სასამართლოს გადაწყვეტილებით, წარმოადგენს ბრალდების ფორმას. თუმცა ასეთი მიდგომა არ არის გაზიარებული ევროპული სასამართლოს მიერ.⁴²

ზოგიერთი მეცნიერი საერთოდ უარყოფდა სამართლებრივი პრეზუმფციების შემოტანის საჭიროებას მათი „ფორმალური“ შინაარსის გამო. მაგალითად: ვსპასოვიჩი წერდა, რომ „სამართლებრივი პრეზუმფციები ბოროტბაა, რომელსაც ყველანაირად თავი უნდა ავარიდოთ“, ე. ა. არსენიევი კი უარყოფდა სამართლებრივ პრეზუმფციებს, რადგან „სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ყოველი ფაქტი კი არ უნდა ივარაუდებოდეს, არამედ დამტკიცებულ უნდა იქნას“. მკვლევართა ნაწილი კი პირიქით, სამართლებრივი პრეზუმფციების დამკვიდრებას აუცილებლად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პიროვნებას

⁴² შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პრეცესში, თბ., 2009, გვ. 178

თანამდებობის პირთა თვითნებობისაგან, სწორედ სამართლებრივი პრეზუმფციების ფორმალური ბუნების მეშვეობით იცავს.⁴³

2.4. უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფციის მიმოხილვა საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოს შიდა საკანონმდებლო რეგულაციები უზრუნველყოფს უდანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების დაცვას.

ყველა ის აქტი, სადაც განმტკიცებულია უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფციის პრინციპი ერთნაირად აცხადებენ, რომ თითოეული პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, მიიჩნევა უდანაშაულოდ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.⁴⁴

ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ჩაითვალოს უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.⁴⁵

ყველა პირს, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს, ითვლებოდეს უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.⁴⁶

აღნიშნული დებულებები ორი ძირითადი ნიშნით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თუმცა არც ერთი მათგანი არ არის მნიშვნელოვანი. პირველ განსახვავებას წარმოადგენს დებულებებში გამოყენებული მცირედ სახეცვლილი ფორმულირებები. ევროპული კონვენცია, რომელიც ყველაზე ადრე იქნა მიღებული, უფრო მოკლეა. საერთაშორისო პაქტი დამატებით საუბრობს უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლებაზე. ამერიკული კონვენცია საერთაშორისო პაქტის იდენტურია, თუ არ ჩავთვლით ტერმინებს შორის უმნიშვნელო განსხვავებებს. მეორე განსხვავება

⁴³ ა. კახნიაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე, თბ., 1998, გვ. 16-17

⁴⁴ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=6354> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 21.05.2021.

⁴⁵ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მე-14(2) მუხლი

⁴⁶ ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-8(2) მუხლი

სტრუქტურულია. ამერიკული კონვენცია უდანაშაულობის პრეზუმფციას ათავსებს ბრალდებულის სხვა სპეციალურ უფლებებს შორის და არ გამოყოფს მას ცალკე უფლებად.⁴⁷

ადამიანის უფლებების დაცვის ისეთი საერთაშორისო ინსტრუმენტები, როგორცაა UDHR, ICCPR და ECHR მოითხოვენ, რომ ყველა ადამიანს, ვისაც ბრალი დაედო დანაშაულში „აქვს უფლება ითვლებოდეს უდანაშაულოდ, სანამ არ იქნება იგი ცნობილი ბრალეულად კანონის თანახმად...“ ეუთოს წევრმა ქვეყნებმა ეუთოს ვალდებულებებში გაითვალისწინეს ეს პრინციპი, როგორც მართლმსაჯულების ერთერთი ელემენტი „რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანის თანდაყოლილი ღირსების სრული გამოხატულებისთვის.“⁴⁸

გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულში, უნდა მოეპყრონ უდანაშაულობის პრეზუმფციის შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ „ბრალდებულები ჩვეულებრივ არ უნდა შებოჭონ ბორკილებით და ჩასვან საკანში სასამართლო პროცესების მსვლელობისას ან წარმოადგინონ სასამართლოს წინაშე, როგორც საშიში დამნაშავეები.“ უფრო მეტიც, კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ყველა თავისუფლება აღკვეთილი პირის ჰუმანურად მოპყრობა და მათი ღირსების პატივისცემა არის წესი, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული ფუნდამენტურად და უნივერსალურად“ და რომელიც უნდა ეხებოდეს განურჩევლად ყველა ბრალდებულს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც ეხება მის რამოდენიმე გადაწყვეტილებაში სასამართლო პროცესზე ბრალდებული მოპყრობის იმგვარ საკითხებს, რამაც შესაძლოა საზიანოდ იმოქმედოს უდანაშაულობის პრეზუმფციაზე და გამოიწვიოს პირის მიმართ დამამცირებელი მოპყრობა. მაგალითად, ერთ საქმეზე იქნა დადგენილი, რომ სასამართლო პროცესზე რკინის საკნების გამოყენებამ ბრალდებულთა მოსათავსებლად „შესაძლოა აფიქრებინოს ჩვეულებრივ მაცურებელს, რომ იგი არის უკიდურესად საშიში დამნაშავე.“ სხვა საქმეზე სასამართლომ დაასკვნა, რომ ასეთი ზომის დაწესება ვერასოდეს ვერ იქნება გამართლებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-3-ე მუხლით, რადგან ეს წარმოადგენს ღირსების შემლახველ მოპყრობას.⁴⁹

თუმცა ბრალდებულის ნასამართლობის გამჟღავნებასთან დაკავშირებული მიდგომები განსხვავდება სხვადასხვა იურისდიქციათა სისტემებს შორის, შეჯიბრებითი მოდელი აბალანსებს მის მტკიცებით ღირებულებას ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციასთან. პროკურატურის განცხადება ამ ინფორმაციის გამოყენების შესახებ შედის ფაქტების დამდგენ

⁴⁷ შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პრეცესში, თბ., 2009, გვ. 176

⁴⁸ ეუთო. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, საქართველო, ვარშავა 2014, გვ. 67

⁴⁹ იქვე, გვ. 67-68

სასამართლოში, რომელიც მსჯელობს მის დასაშვებობაზე. ეს მეთოდი შეესაბამება სასამართლო პროცესების შეჯიბრებითობით ხასიათს და იცავს მოსამართლეს, მათ შორის ნაფიც მსაჯულებსაც, მიკერძოებული და შეუსაბამო ინფორმაციის გავლენის ქვეშ მოქცევისგან, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს სუბიექტურ მიუკერძოებლობაზე. ბრალდებულის წარსული ნასამართლეობის გამოყენება გამართლებული იქნება მაგალითად, სასჯელის შეფარდების მიზნისთვის, პოტენციური დანაშაულის ჩადენის რისკის შეფასებისთვის და როდესაც მას გააჩნია მტკიცებულებითი მნიშვნელობა კონკრეტული დანაშაულის მიზნებისთვის.⁵⁰

რაც შეეხება ბრალდებულის შესაძლო დამნაშავეობასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს სასამართლოს მიერ საბოლოო განაჩენის გამოტანამდე, გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტი ამის შესახებ აცხადებს, რომ სახელმწიფო პირებმა „თავი უნდა შეიკავონ წინასწარი დასკვნებისგან სასამართლო გამოძიების შედეგების თაობაზე, მაგალითად, თავი აარიდონ ბრალდებულის დამნაშავეობის მამტკიცებელი საჯარო განცხადებების გაკეთებას“ და რომ მედიამ თავი უნდა აარიდოს გამოძიებებისა და პროცესების ისე გაშუქებას, რაც პოტენციურად დაარღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას. ევროპის საბჭოს მინისტრთა კაბინეტმა გამოსცა რეკომენდაცია მისი წევრი ქვეყნებისთვის მედიის მიერ სისხლის სამართლის პროცესებზე ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიების პროცესებთან დაკავშირებული მოსაზრებების და ინფორმაციის მიწოდება და გავრცელება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ ეს არ დაარღვევს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციას.“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპული კონვენციის მიზანია აღკვეთოს „სასამართლო პროცესებთან მჭიდროდ დაკავშირებულ საკითხებზე გაკეთებული განცხადებები, რომლებიც იწვევენ სამართლიანი სასამართლო პროცესისთვის ზიანის მიყენებას. ევროპულმა სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს ან მონაწილე პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებს, არამედ აგრეთვე სახელმწიფო პირებსაც, თუ მათი განცხადებების ნიადაგზე საზოგადოებას შეიძლება შეექმნას განცდა, რომ ეჭვმიტანილი დამნაშავეა და შესაბამისად, გამოიწვიოს ფაქტების წინასწარი შეფასება, რაც კომპეტენტური სასამართლო ორგანოს პრეროგატივაა. თუ სახელმწიფო თანამდებობის პირის განცხადება სასამართლო განაჩენის დადგომამდე მიაწოდებს, რომ ბრალდებული დამნაშავეა, ეს ჩაითვლება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად. ამასთან, ხელისუფლების წარმომადგენლებს არ

⁵⁰ ეუთო. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, საქართველო, ვარშავა 2014, გვ. 68

ეკრძალებათ საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიების საქმეებზე ან სამართალწარმოებაზე, მაგრამ მათ ამის გაკეთება უნდა მოახდინონ „მთელი საჭირო სიფრთხილითა და სიფხიზლით“, რათა უდანაშაულობის პრეზუმფცია იქნას დაცული. ევროპული სასამართლო აგრეთვე მიუთითებს, რომ “არღვევს თუ არა ხელისუფლების წარმომადგენლის განცხადება უდანაშაულობის პრეზუმფციას, უნდა დადგინდეს კონკრეტული გარემოებების კონტექსტში, რომელშიც ეს სადავო განცხადება გაკეთდა.”⁵¹

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პრეცედენტულ სამართალში ხაზი გაუსვა უდანაშაულობის პრეზუმფციის პატივისცემის მნიშვნელობას, რაც მოითხოვს, რომ შესაბამისი საჯარო მოხელეები არ უნდა ცნობდნენ პირს დამნაშავედ ან უდანაშაულოდ, სანამ აღნიშნულ საკითხს არ განიხილავს უფლებამოსილი სასამართლო. ეს ეხება მოსამართლეთა, ისევე როგორც სხვა სახელმწიფო მოხელეთა, მაგალითად, პოლიციის თანამშრომელთა და პროკურორთა, განცხადებებს. 50 25-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე მოსამართლეს უფლება არა აქვს, აზრი გამოთქვას ბრალდებულის (მსჯავრდებულის) დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე.“⁵²

საქართველოს შიდა საკანონმდებლო რეგულაციები უზრუნველყოფს უდანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების დაცვას. უპირველესია, საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მე-31 მუხლის მეხუთე პუნქტში აღნიშნულია, რომ ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. ამასთან ერთად, არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს. უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციურ ნორმებში განმტკიცება პირს იცავს დანაშაულის დამნაშავედ გამოცხადებისა და დანაშაულის დაბრალებისაგან. ასევე ადგენს, რომ ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე, ბრალის დამტკიცების გარეშე არავის არ შეიძლება დაედოს მსჯავრი. ბრალდებულს მსჯავრი უნდა დაედოს მხოლოდ იმ

⁵¹ ეუთო. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, საქართველო, 2014, გვ.68-69

⁵² ერთობილივი მოსაზრება სისხლის სამართლის კოდექსის შესახებ, 2014, მოსაზრება-Nr.: CRIM -GEO/257/2014 [RJU] გვ. 30

შემთხვევაში, როდესაც სასამართლო დარწმუნდება მის ბრალეულობაში. ექვის არსებობის შემთხვევაში მიღებულ უნდა იქნეს სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი.⁵³

„კონსტიტუციის მითითებული ნორმით, ზოგადად რეგლამენტირებულია უდანაშაულობის (არაბრალეულობის) პრეზუმციის გარანტია. სასამართლო, მოცემული დავის ფარგლებში, არ დგას უდანაშაულობის (არაბრალეულობის) პრეზუმციის სრულყოფილი განმარტების წინაშე. თუმცა სასამართლო მიუთითებს, რომ უდანაშაულობის (არაბრალეულობის) პრეზუმცია წარმოადგენს სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპს, რომელიც მათ შორის გულისხმობს, ყველას მოექცნენ იმ დაშვებით, რომ ის უდანაშაულოა მანამ, ვიდრე ჯეროვანი პროცედურის გავლით, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით არ დამტკიცდება მისი დამნაშავეობა. შესაბამისად, ჯეროვანი პროცედურის გარეშე დაუშვებელია პირის აღიარება დამნაშავედ.“⁵⁴

უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური პრინციპი, თავისი არსით, მჭიდროდ უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური უფლების ელემენტებს, ისევე როგორც კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით დაცულ გარანტიებს, სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების ტვირთის განაწილებასა და მტკიცებულებების ხარისხობრივი მოთხოვნების თაობაზე.⁵⁵

უდანაშაულობის პრეზუმფციის ფუნდამენტური პროცესუალური პრინციპის აღიარებით საქართველოს კონსტიტუცია ესწრაფვის, უზრუნველყოს სახელმწიფოს, როგორც სისხლის სამართლის პროცესში ინსტიტუციურად ძლიერი მხარის გონივრული შეკავება.“⁵⁶

უდანაშაულობის პრეზუმფციას, როგორც სამართლიანი სასამართლო პროცესის პრინციპის გამოხატულებას, ვხვდებით აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში, რომლის თანახმად, ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნა ევროპული კონვენციის მიხედვითაც გასათვალისწინებელია როგორც, გამოძიების ეტაპზე, ისე საქმის სასამართლო განხილვის დროს. სასამართლოს მიერ პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სისხლის სამართალმწარმოებელმა ორგანოებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი განცხადებებისგან, რომლებიც ისეთ წარმოდგენას ქმნიან, თითქოს პირის ბრალეულობა უკვე დადგენილია. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპულ

⁵³ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=6354> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 21.05.2021.

⁵⁴ <https://jelec.iliauni.edu.ge/mukhli40/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 21.05.2021.

⁵⁵ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=6354> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 21.05.2021

⁵⁶ <https://jelec.iliauni.edu.ge/mukhli40/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 21.05.2021

სასამართლოს, მას უდანაშაულობის პრეზუმფციის განმარტება 1995 წლის საქმეში – ალენე დე რიბენო საფრანგეთის წინააღმდეგ (Allenet de Ribbemont v. France) – მოუწია, რომელშიც, შინაგან საქმეთა მინისტრმა და სხვა ორმა პოლიციელმა პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ დაკავებულ იქნა ყველა პირი, რომელიც მონაწილეობდა მკვლელობაში. დაკავებულთა შორის ალენე დე რიბენო კი, წარმოადგენდა დანაშაულის წამქეზებელს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული საჯარო განცხადება მომჩივანს წარმოადგენდა დამნაშავედ და შესაბამისად, დაადგინა კონვენციის დარღვევა. ასევე, დარღვევად მიიჩნია პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში გენერალური პროკურორის სიტყვები – „ბრალის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები“ და „თაღლითობის მცდელობა;“ გაზეთის სტატიაში პოლიციის სიტყვები: „წინასწარ განზრახული თაღლითური ქმედება;“ ექსტრადირების შესახებ დადგენილებაში, ექსტრადირების საფუძველად იმის მითითება, რომ მათ „ჩაიძინეს“ ტერორისტული აქტი და სხვა დანაშაულები; ასევე, გენერალური პროკურორის სიტყვები: „შეიცავდა ტერორიზმის მუქარას“ და „ეს ინფორმაცია აფუძნებს ტერორიზმის მუქარას.⁵⁷

უდანაშაულობის პრეზუმფცია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია და მისი დაცვა პროცესის ნებისმიერ ეტაპზე სავალდებულოა არა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოებისთვის არამედ სასამართლოსთვისაც. უდანაშაულობის პრეზუმფცია სისხლის სამართლის პროცესში ნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს და ბრალდებული არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. თუ ბრალდებულის მიმართ არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა დაუშვებელია.⁵⁸

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დაცულია „უდანაშაულობისა და თავისუფლების“ პრეზუმფცია, რომლის თანახმადაც უდანაშაულობის პრეზუმფციის ზოგადი პრინციპების დაცვა სასამართლო პროცედურების ყველა ასპექტში უნდა ასახოს. უდანაშაულობის პრეზუმფციის არსებობის ზოგადი მიზანია „სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობა ბრალდებულის ხელშეუხებლობის და დაცვის უფლების ეფექტიანობის უზრუნველყოფის გზით“. საერთაშორისო სამართალში ამ მიზნების დაცვას ემსახურება სხვადასხვა საერთაშორისო აქტი, რომლებშიც დაცული და განმტკიცებულია უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის გარანტიები. ერთ-ერთი ყველაზე ძველი საერთაშორისო აქტიც კი, 1948 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ემსახურება თითოეული ინდივიდის უფლების დაცვას, მათ შორის

⁵⁷ ბ. თანდილაშვილი, პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია. გვ. 166

⁵⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 5(2)

ბრალდებულისაც, განსაკუთრებით კი დაცულია უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომელიც მთლიანი სამართალწარმოების პროცესში ბრალდებულის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრას უწყობს ხელს.⁵⁹

აღნიშნული პრინციპის მიმოხილვით, როგორც ადამიანის უფლებათა კონვენციაში, ისე საქართველოს კონსტიტუციაში და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, კიდევ ერთხელ ვრწმუნებით, იმაში, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია თავისი არსით მიეკუთვნება მორალურ კატეგორიათა რიგს, რომლებიც უნივერსალური ხასიათისაა და განუყოფელია სახელმწიფოსთან ურთიერთობაში ადამიანისგან. ისინი ერთნაირად აცხადებენ, რომ თითოეული პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, მიიჩნევა უდანაშაულოდ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. დანაშაულის ჩადენის დამტკიცება მთლიანად ევალება ბრალდებულ მხარეს.⁶⁰

⁵⁹ ტ. მირზაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი, „უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები“, თბ., 2019, გვ. 15

⁶⁰ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=6354> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 21.05.2021

თავი III. სამართლებრივი ასპექტები

3.1. სუბიექტები

უდანაშაულობის პრეზუმფციის განხილვისას აუცილებელია დადგინდეს ვინ შეიძლება იყვნენ ამ უფლების ადრესატები და რა მასშტაბით ვრცელდება იგი კერძო სამართლებრივ ურთიერთობებზე. ძირითადად პრეზუმფციის ადრესატად მოიაზრება სახელმწიფო, რადგან მას აქვს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ვალდებულება დაიცვას ბრალდებულის უფლებები. ადამიანის ძირითადი უფლებები ბოჭავს სახელმწიფოს. რადგან უდანაშაულობის პრეზუმფცია ბრალდებულის ერთ-ერთი უფლებაა და მისი დაცვის ვალდებულება სახელმწიფო ორგანოებს აკისრია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კერძო სამართლებრივი ურთიერთობების დროს ბრალდებულის უფლება არ უნდა იყოს დაცული. სახელმწიფო თავის მხრივ ვალდებულია თავი შეიკავოს პირის უფლებების დარღვევისგან, მაგრამ მას ამავდროულად ეკისრება ვალდებულება დაიცვას მოქალაქის უფლებები, მათ შორის მესამე მხარისაგან.⁶¹

ვინაიდან, დამნაშავეობა არ აღმოფხვრილა და პრობლემა დღესაც მწვავედ დგას, კვლავაც აქტუალურად რჩება სახელმწიფოსა და საზოგადოების, ცალკეული პიროვნებების, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვა დამნაშავეობრივი ხელყოფისაგან, რასაც სამართალდამცავი და მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს. სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე, სისხლის სამართალწარმოების ნორმალური მსვლელობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს მიერ სათანადო უფლებამოსილებებით აღჭურვილი პირებით, ხელთ არსებული მტკიცებულებებისა და მათ საფუძველზე ჩამოყალიბებული შინაგანი რწმენის საფუძველზე, გარკვეულ პირს ცნობენ ეჭვმიტანილად, ბრალდებულად ან განსასჯელად და კანონით დადგენილ ფარგლებში მის მიმართ იყენებენ იძულების გარკვეულ ღონისძიებებს.⁶²

პრეზუმფციის *ratlone personae* ვრცელდება როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე და მისი დაცვის ვალდებულება ეკისრება, როგორც პროცესის მწარმოებელ ორგანოს და ბრალდების მხარეს, ისე პროცესის მონაწილეებს, მედიას, ხელისუფლების ყველა შტოს და დონის წარმომადგენელს, ასევე გავლენიან აქტორებს, რომლებმაც სისხლისსამართლებრივი დევნის

⁶¹ კ. კორკელია, ი ქურდაძე, „ადამიანის უფლებებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით“, თბ., 2004, გვ. 14

⁶² ა. კახნიაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე, თბ., 1998. გვ. 9

ნებისმიერ ეტაპზე თავი უნდა შეიკავონ ისეთი განცხადებებისგან, რაც შეიცავს წინასწარ დასკვნებს სასამართლო განხილვის შედეგების შესახებ.⁶³

სასამართლოებმა მკაცრად უნდა დაიცვან კონსტიტუციური პრინციპი, რომლის მიხედვით ბრალდებული (განსასჯელი) უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონით განსაზღვრული წესით, და დადგინდება კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. სწორედ ეს მკაფიო ებულება იწოდება დღეს სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპად.⁶⁴

უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებს როგორც გამოძიების, ისე საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე. იგი მოქმედებას იწყებს პირის ბრალდებულად ცნობისთანავე. თუმცა, ბრალდებულად ცნობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია არა ცნება „ბრალდებულის“ სამართლებრივ-ტექნიკური განმარტება, არამედ ის თუ ფაქტობრივად, როდიდან შეიძლება პირის ბრალდებულად მიჩნევა. შესაბამისად, უდანაშაულობის პრეზუმფციის მოქმედების დაწყება უშუალოდ უკავშირდება იმ დროს, როდესაც ხდება დანაშაულის ჩადენის შესახებ ვარაუდის კონკრეტული პირის მიმართ კონკრეტიზაცია.⁶⁵

აქედან გამომდინარე, ფართოა სუბიექტთა წრე, რომლებსაც ევალებათ უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა. იგი მოიცავს არა მხოლოდ საგამოძიებო, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებსა და სასამართლოებს, რომლებსაც ევალებათ დამაჯერებელი და ერთმანეთთან თანხვედრი მტკიცებულებების წარმოდგენა, არამედ სხვა ნებისმიერ საჯარო პირსა თუ ორგანოს, განურჩევლად იმისა, მონაწილეობს თუ არა იგი სისხლის სამართლის პროცესში.⁶⁶

უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ფაქტის განსაზღვრა ხდება ობიექტური და სუბიექტური ტესტის/კრიტერიუმის საფუძველზე. დარღვევის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა ბრალდებულის სუბიექტურ შიშს, არამედ ობიექტურად რამდენად დასაბუთებულია მისი შიში მოცემულ ვითარებაში. ამიტომ საკითხი იმის შესახებ, არღვევს თუ არა მოსამართლის ანდა ხელისუფლების წარმომადგენლის განცხადება უდანაშაულობის პრეზუმფციას, განხილულ უნდა იქნეს შესაბამის განცხადების გაკეთების გარემოების გათვალისწინებით.⁶⁷

⁶³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 50

⁶⁴ ა. კახნიაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე, თბ., 1998, გვ. 10

⁶⁵ ხ. თანდილაშვილი, პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, გვ. 165

⁶⁶ იქვე, გვ. 165

⁶⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 50-51

უდანაშაულობის პრეზუმფცია, რამდენადაც ის მოითხოვს მოსამართლის მხრიდან ღიაობას, მჭიდროდ არის დაკავშირებული მიუკერძოებელი სასამართლოს უფლებასთან. ეს ნიშნავს, *inter alia*, რომ „სასამართლოს წევრებს, თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელებისას არ უნდა ჰქონდეთ წინასწარ ჩამოყალიბებული პოზიცია, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული“. თუმცა უდანაშაულობის პრეზუმფცია უფრო ფართოა იმ გაგებით, რომ ვალდებულებებს აკისრებს საქმეში ჩართულ სხვა პირებსაც. ეს არ ნიშნავს, რომ პროკურორი უნდა იყოს მიუკერძოებელი, თუმცა გულისხმობს იმას, რომ მან არ უნდა გამოავლინოს თავისი რწმენა პირის ბრალეულობაში. ასეთი განსხვავება, გარკვეულწილად, ხელოვნურია. მოსამართლემ არც კი უნდა გაიფიქროს, რომ ბრალდებული დამნაშავეა. როგორც მინიმუმ, მან არ უნდა გამოთქვას ასეთი მოსაზრება. პროკურორის ძირითად მოვალეობაში შედის, რომ ამტკიცოს ბრალდებულის ბრალეულობა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში პრეზუმფცია უფრო ვიწროდ უნდა იქნეს გაგებული. პროკურორს უნდა შეეძლოს თავისი მოსაზრების გამოხატვა ბრალდებულის დამნაშავეობის შესახებ. თუმცა მან ასევე უნდა იცოდეს, რომ თავისი მოსაზრების მიუხედავად, პირი შეიძლება გაამართლოს სასამართლომ და ამდენად, ის არ შეიძლება ობიექტურად ჩაითვალოს დამნაშავედ ან დაექვემდებაროს ასეთ მოპყრობას.⁶⁸

პროკურატურაც, როგორც სახელმწიფო უწყება და სისხლის სამართლის პროცესში კი, სახელმწიფო ბრალმდებელი, ვალდებულია დაიცვას უდანაშაულობის პრეზუმფცია. ამასთან, აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ უშუალოდ სასამართლო სხდომებზე, არამედ სასამართლოს გარეთ, საზოგადოებასთან (მედიასთან) ურთიერთობისას. საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, „პროკურატურის მუშაკი პატივს უნდა სცემდეს უდანაშაულობის პრეზუმფციისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებს, როგორც უზენაეს ღირებულებებს,“ კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ სისხლის სამართლის მიზნებისათვის რამხელა მნიშვნელობა ენიჭება პროკურატურის მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას.⁶⁹

დანაშაულის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისას პოლიცია, საგამომიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოები ვალდებულნი არიან ერთი მხრივ, დააკმაყოფილონ საჯარო ინტერესი, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყონ ბრალდებულის უფლებების დაცვა. სწორედ ამიტომ, საჯარო პირებმა უნდა შეარჩიონ ისეთი სიტყვები, რომ არ მოხდეს მათი მცდარი ინტერპრეტირება და საზოგადოებას არ დაუტოვოს განცდა პირის დამნაშავეობის შესახებ.

⁶⁸ შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009. გვ. 187

⁶⁹ ხ. თანდილაშვილი, პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, გვ 165

შესაბამისად, მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის შესახებ კომენტარის გაკეთებისას, ისინი უნდა იყვნენ თავშეკავებულნი და მიუთითონ, რომ მიწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შესახებ ვარაუდს.⁷⁰

უდანაშაულობის პრეზუმფცია დარღვეულად ჩაითვლება, თუ გაკეთებულია დამნაშავეობაზე პირდაპირი განცხადება. ასევე, ადგილი ექნება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას, თუ საჯარო პირის მიერ ბრალდებულთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაში ასახულია აზრი, რომ ბრალდებული დამნაშავეა და აღნიშნული მოსაზრება ჯერ არ არის დადასტურებული კანონით დადგენილი წესით. ამასთან, დარღვევის დადგენისათვის საკმარისია იმ ფაქტის არსებობა, რომ თანამდებობის პირი ბრალდებულს დამნაშავედ მიიჩნევს. შესაბამისად, იმის დადგენა, დაირღვა თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფცია დამოკიდებულია წარმოთქმულ ფრაზეოლოგიასა და იმ გარემოებებზე, რომლის პირობებშიც გაკეთდა განცხადება.⁷¹

ხშირია შემთხვევები, როდესაც საჯარო მოხელეები პირის მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით აკეთებენ განცხადებებს, თუმცა მათ არ აქვთ უფლება გააკეთონ იმგვარი განცხადებები, რომ გამოხატონ პოზიცია პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით, მანამ, სანამ არ დამტკიცდება, მისი დამნაშავეობა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით. ევროპული სასამართლოს მიერ წარმოებულ ერთ-ერთ საქმეში განმარტებულია, რომ „სავალდებულოა არა მხოლოდ სისხლის სამართლის სასამართლოში, რომლის წინაშეც პირი წარდგენილია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისთვის, არამედ სხვა, სახელმწიფო ორგანოებისთვისაც. არც ერთი პირი არაა უფლებამოსილი დამნაშავედ ცნოს ადამიანი სისხლის სამართლის დანაშაული, თუ იგი არ არის ნასამართლევი კომპეტენტური ორგანოს მიერ“.⁷²

⁷⁰ ბ. თანდილაშვილი. პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, გვ. 166

⁷¹ ა. კახნიაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე, თბ., 1998. გვ. 5

⁷² ტ. მირზაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი, „უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები“, თბ., 2019, გვ. 21

3.2. მტკიცების ტვირთი

სისხლის სამართლის პროცესში უდანაშაულობის პრეზუმფცია ნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება ორგანოს, რომელიც ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას. ბრალდებამ უნდა დაარწმუნოს სასამართლო პირის ბრალეულობაში. ბრალდებულს არ ევალება, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. სხვა სიტყვებით, როდესაც ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებები არასაკმარისია ის უნდა გაამართლოს. მაგ: რინგვოლდი (Ringvold) ნორვეგიის წინააღმდეგ. ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ ამ საქმეს. კიპრიანუ (Kyprianou) კვიპროსის წინააღმდეგ, § 53. 781 Ibid., § 56. ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N 13, §7. 190 სასამართლომ. თუმცა ეს საკითხი ზოგჯერ დავის საგანი ხდება. ზოგიერთი ავტორი აცხადებს, რომ კონტინენტური სისხლის საპროცესო სამართალი არ იცნობს მტკიცების ტვირთის პრობლემას, რადგან მოსამართლის გადასაწყვეტია ფაქტების დადგენა. თუმცა ასეთი განსხვავება ზედმეტად თეორიულად უნდა ჩაითვალოს. სინამდვილეში, პრაქტიკაში ეს ასპექტი არ არის მნიშვნელოვანი. არარეალისტურია სასამართლომ განაცხადოს, რომ ბრალდებულის მსჯავრდება ემყარება იმ ფაქტს, რომ მან ვერ შეძლო თავისი უდანაშაულობის დამტკიცება. დანაშაულის დამტკიცების მიზნით, ბრალდების მხარეს აკისრია მტკიცების ტვირთი. მტკიცების ტვირთი სისხლის სამართლის პროცესში კრიტერიუმს მოიცავს: პირველი, უნდა დამტკიცდეს, რომ ფაქტობრივად ჩადენილია დანაშაული და მეორე, რომ ბრალდებული იყო სწორედ ის პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული. უდანაშაულობის პრეზუმფცია ბრალდებულის განსაკუთრებული გარანტიაა სისხლის სამართლის პროცესში. „უდანაშაულობის პრეზუმფცია წარმოადგენს სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპს, რომელიც მათ შორის გულისხმობს ყველას მოექცნენ იმ დაშვებით, რომ იგი უდანაშაულოა მანამ, ვიდრე ჯეროვანი პროცედურის დაცვით, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით არ დამტკიცდება მისი დამნაშავეობა. შესაბამისად ჯეროვანი პროცედურების გარეშე დაუშვებელია პირის აღიარება დამნაშავედ“ . ამ პრინციპის არსებობა გარკვეულწილად გულისხმობს ბრალდებულის დაცვას, რათა წინასწარ არ მოხდეს მისი დამნაშავედ გამოცხადება ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.⁷³

⁷³ ტ. მირზაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი, „უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები“, თბ., 2019, გვ. 7

როგორც, უკვე აღვნიშნეთ, უდანაშაულობის პრეზუმფცია მოიცავს მტკიცების ტვირთის საკითხსაც, რომელიც შეიძლება წამოიჭრას არა მხოლოდ სისხლის სამართალში არამედ ზოგადად კანონმდებლობის მიმართ. რეპუტაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კრიტერიუმს იყენებს სასამართლო იმის დასამტკიცებლად შეესაბამება თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფციას პირის მიმართ გაჟღერებული ბრალეულობის საკითხები. რომელთა განხილვაც განხილვა შესაძლოა საჭირო გახდეს არა მხოლოდ სისხლის სამართლებრივ არამედ სხვა, მასთან კავშირში არმყოფ განცხადებებთან მიმართებითაც.

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს რამდენიმე სამართლებრივი ასპექტი გააჩნია.

საქვეყნოდ ცნობილი „მოწამლული ხის ნაყოფის“ თეორიის თანახმად, თუ თავდაპირველი მტკიცებულება იყო მოპოვებული კანონის დარღვევით, მის საფუძველზე მოპოვებული სხვა ნებისმიერი მტკიცებულებაც იქნება უკანონო. ნებისმიერი მტკიცებულება დაუშვებელია, თუ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის თაობაზე, მისი ნიშან თვისებების არსებითი შეცვლის/გამოცვლის ან დარჩენილი კვალის არსებითი მოსპობის შესახებ. ბრალდების მხარის მტკიცებულებების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულებების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით აკისრია ბრალმდებელს. სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი მტკიცებულებების წარმომავლობის შესახებ. როგორც არაერთხელ უკვე აღინიშნა დაუშვებელი მტკიცებულებანი არ შეიძლება რომ დაედოს საფუძვლად სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს.⁷⁴

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მტკიცების ტვირთი აკისრია პროკურორს. ვინაიდან, ბრალდებული არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარე სასამართლოში ვერ წარადგენს მტკიცებულებებს, რომელიც საკმარისი იქნება გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტისთვის, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული ან გაჩნდება თუნდაც მცირეოდენი ეჭვი მის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენასთან დაკავშირებით, ნებისმიერი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.⁷⁵

ბრალდებულს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმის უფლება. აღნიშნული უფლების გამოყენება არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად. ბრალდებულის მიერ დუმის უფლების გამოყენება არ შეიძლება საფუძვლად

⁷⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 243-251

⁷⁵ ტ. მირზაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი, „უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები“, თბ., 2019, გვ. 17

დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს. ალიბის უქონლობა ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმა არ არის საკმარისი დასამტკიცებლად, რომ პირმა ნამდვილად ჩაიდინა ბრალად წარდგენილი დანაშაული.⁷⁶

მტკიცების ტვირთი: სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მტკიცების ტვირთის გადანაწილების პირობითად ორ სახეს: 1. AFFIRMANTI INCUMBIT PRO BATION – მტკიცების ტვირთი ეკისრება საპროცესო საგამომიებო მოქმედების ინიციატორ მხარეს, რომელიც ვალდებულია ამტკიცოს თავისი პოზიციის სისწორე. მაგალითად, სააპელაციო/საკასაციო სასამართლოში განაჩენის გასაჩივრებისას აპელანტს/კასატორს აკისრია განაჩენის დაუსაბუთებლობის ან/და უკანონობის მტკიცების ტვირთი იმისდა მიუხედავად, თუ ვინ ასაჩივრებს – დაცვის თუ ბრალდების მხარე. აპელანტი/კასატორი არის ვალდებული ამტკიცოს თავისი საჩივრის დასაშვებობა და დასაბუთებულობა, თავისი მოსაზრებების სისწორე. ინიციატორი მხარეა ვალდებული ამტკიცოს დაყენებული შუამდგომლობის დასაბუთებულობა და საფუძვლიანობაც. მაგალითად, დაცვის მხარე ვალდებულია დაასაბუთოს შუამდგომლობა ჩხრეკის/ექსპუმაციის ჩატარების შესახებ; აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრების შემთხვევაში – სასამართლოს განჩინების უკანონობა ან დაუსაბუთებლობა და სხვა. 2. ბრალდებულის ბრალეულობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს – გულისხმობს ბრალდების მხარის ვალდებულებას ამტკიცოს როგორც ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა, მისი ბრალეულობა, ასევე თავად დანაშაულზე ბრძოლის არსებობა და დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების/ინფორმაციის ან/და მოსაზრებების დაუშვებლობა. ბრალდებული არ არის ვალდებული მოიძიოს და წარმოადგინოს დანაშაულის ჩადენაში. მისი მონაწილეობის გამომრიცხველი მტკიცებულებები. იმავდროულად, ბრალდების მხარე ვალდებულია ამტკიცოს დაცვის მხარის მხოლოდ დასაბუთებული პრეტენზიის/მოსაზრების სიმცდარე. შესაბამისად, ბრალდების მხარეს არ ეკისრება დაცვის მხარის ზერელე დაუსაბუთებელი განცხადებების უკუგდების ვალდებულება. მაგალითად, თუ დაცვის მხარე ამტკიცებს, რომ ბრალდების დასაბუთებისათვის გამოყენებული ექსპერტის დასკვნა ფალსიფიცირებულია, ბრალდების მხარეს აღნიშნულის უკუგდების ვალდებულება ეკისრება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცვის მხარე საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად მიუთითებს რაიმე კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დაცვის მხარის პრეტენზია დაუსაბუთებელია და ვერ გამოიწვევს ექსპერტის დასკვნის დაუშვებელ

⁷⁶ ტ. მირზაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი, „უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები“, თბ., 2019, გვ. 18

მტკიცებულებად ცნობას, რის გამოც ბრალდების მხარეს არ ეკისრება მისი უკუგდების ვალდებულება.⁷⁷

საქმეზე აღენე დე რიბემონი საფრანგეთის წინააღმდეგ სასამართლომ დაადგინა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, რადგანაც პოლიციის მაღალი თანამდებობის პირმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე, ისე, რომ სასამართლო განხილვა არ იყო დაწყებული რიბემონი დაასახელა მკვლელობის წამქეზებლად. ვინაიდან არ იყო დამტკიცებული რიბემონის მიერ დანაშაულის ჩადენა და არ არსებობდა შესაბამისი სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას.⁷⁸

ბრალდების მხარის მტკიცებულებების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მკიცებულებების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით აკისრია ბრალმდებელს. სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი მტკიცებულებების წარმომავლობის შესახებ. როგორც არაერთხელ უკვე აღინიშნა დაუშვებელი მტკიცებულებანი არ შეიძლება რომ დაედოს საფუძვლად სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს.⁷⁹

ბრალდებულის მიმართ ბრალის წარდგენის შემდეგ ძირითად შემთხვევაში გამოიყენება აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახე, რომლის შეფარდების დროსაც სასამართლოს უწევს გარკვეულწილად შეაფასოს მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც ბრალდების მხარე ითხოვს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას. აღკვეთის შუამდგომლობაში ბრალდების მხარე ყოველთვის მიუთითებს იმ საფრთხეებზე, რომელიც შესაძლოა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში გამოვლინდეს. ასეთია მაგალითად: ახალი დანაშაულის ჩადენისა და მიმალვის საფრთხე, მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე და სხვა. თუ სასამართლო სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილებს ბრალდების მხარის შუამდგომლობას და ბრალდებულს შეუფარდებს აღკვეთ ღონისძიებას განჩინების ნაწილში აუცილებლად მიუთითებს იმ საფრთხეებზე, რომელთა საფუძველზეც მიიღო გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში, საკამათოა

⁷⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015 გვ. 53-54

⁷⁸ ტ. მირზაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი, „უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები“, თბ., 2019, გვ. 18

⁷⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015 გვ. 251

შეიძლება თუ არა ჩაითვალოს სასამართლოს მიერ შუალედური გადაწყვეტილების მიღებისას საფრთხეების ჩამოთვლა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად?⁸⁰

მტკიცებულებები, რომლებიც აკმაყოფილებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, საკმარისია აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტისთვის კი არ არის აუცილებელი იმგვარი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც განაჩენის გამოტანისთვის იქნებოდა საკმარისი. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი ბრალდების მხარეს აძლევს შესაძლებლობას პირი ცნოს ბრალდებულად და სასამართლოში იშუამდგომლოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე, როდესაც პირი იმხილება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში ივარაუდება, რომ მისგან მომდინარეობს საფრთხე. შესაბამისად სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების შეფარდება არ შეიძლება ჩაითვალოს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად.⁸¹

მტკიცების ტვირთის ბრალდების მხარეზე დაკისრებით, კანონმდებელი ბრალმდებულს ათავისუფლებს პრაქტიკული დაცვის წარმოების ვალდებულებისგან და მის მონაწილეობას მტკიცების პროცესში ბრალდებულის ნება-სურვილს უკავშირებს. მტკიცების ტვირთის ბრალდების მხარეზე დაკისრებით, ასევე იგულისხმება, რომ დაუშვებელია ბრალდებულის იძულება ჩვენების მიცემის, ანდა მის ხელთ არსებული მტკიცებულების წარმოდგენაზე, პროცესის მწარმოებელ ორგანოსთან თანამშრომლობაზე. სასამართლოს ეკრძალება, ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ გადაწყვეტილება დააყრდნოს ბრალდებულის დუმილის უფლებით სარგებლობას. თუმცა ეს არ არის აბსოლიტური ხასიათის და გარკვეული შემთხვევების დროს იგულისხმება, რომ მას უბრალოდ არაფერი აქვს სათქმელი.⁸²

აუცილებლობას წარმოადგენს, მოსამართლემ აკონტროლოს თავისი ყოველი ქმედება და გამონათქვამები სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას რათა არ დაირღვეს უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება. მოსამართლეებისა და მსაჯულების პირადი მიუკერძოებლობის პრეზუმფცია არსებობს მანამ, სანამ საპირისპირო დამტკიცდება. საქმეზე სანდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ განმცხადებელი ჩიოდა, რომ მას არ მოუსმინა მიუკერძოებელმა ტრიბუნალმა, რადგანაც ნაფიცი მსაჯულები რასობრივი ნიშნით მიკერძოებულები იყვნენ. სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას მოსამართლეს ნაფიცმა მსაჯულმა მიაწოდა წერილობითი შეტყობინება იმის შესახებ, რომ სხვა მსაჯულები რასისტულ რეპლიკებს და ხუმრობებს

⁸⁰ ტ. მირზაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი, „უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები“, თბ., 2019, გვ. 19

⁸¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015. გვ. 32

⁸² იქვე. გვ. 55

გამოთქვამდნენ, რასაც ადასტურებდა ერთი მსაჯული. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეს თავისთავად არ უტოლდებოდა მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ მსაჯული მიკერძოებული იყო განმცხადებელთან მიმართებით. თუმცა, მოსამართლის მხრიდან მსაჯულებისთვის ხელახალი მიმართვა არასაკმარისად იქნა მიჩნეული მიუკერძოებლობის არარსებობის შესახებ გონივრული შთაბეჭდილებისა და შიშის გასაფანტად⁸³.

3.3. ეჭვი/ვარაუდი

საქართველოს სსსკ-ის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში ვხვდებით მტკიცებულებათა შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის შესახებ ჩანაწერს. მტკიცებულებას არ გააჩნია წინასწარ დადგენილი ძალა. ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება, თუ ის არ დადასტურდა სხვა მტკიცებულებებით, არ არის საკმარისი მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. ამისათვის საჭიროა მტკიცებულებათა ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი ერთობლიობა. გადამწყვეტი მტკიცებულება ვერ იქნება ირიბი ჩვენება, იგი საფუძვლად ვერ დაედება გამამტყუნებელ განაჩენს. უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, არავინ არ არის ვალდებული ჩვენება მისცეს საკუთარი თავის ან ოჯახის წევრთა წინააღმდეგ. ასეთი ჩვენება იქნება დაუშვებელი მტკიცებულება და მოსამართლე მას არ გაითვალისწინებს გადაწყვეტილების გამოტანისას.⁸⁴

მიუხედავად იმისა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია საკმაოდ გავრცელებული ტერმინია და სამართლის შესახებ არაიურისტი პირის ზოგადი ცოდნის ნაწილს წარმოადგენს, მისი ფორმულირება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. პრეზუმფცია, ზემოთ მოცემული დებულებების მიხედვით, ვრცელდება დანაშაულში ბრალდებულ პირებზე. ტერმინი „ბრალდებული“ კი გულისხმობს, რომ შესაბამისი პირის მიმართ არსებობს დანაშაულის ჩადენის ვარაუდი. შესაბამისად, ერთი მხრივ, ივარაუდება, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, თუმცა მეორე მხრივ, მას აქვს უფლება, ჩაითვალოს უდანაშაულოდ. სახეზეა „contradiction ad adjecto” – ტერმინებს შორის ურთიერთწინააღმდეგობა. შესაბამისად, გარანტიის პირდაპირი მნიშვნელობა ვერ იქნება მისი ნამდვილი აზრი. სინამდვილეში, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტი ნათლად

⁸³ ლიჩი ფ. „როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს“. თბ., 2013, გვ. 353- 353

⁸⁴ ნ. ლეკიაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი „უდანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი პრინციპის, რეალიზების პრობლემები“, თბ., 2020. გვ. 43

მიუთითებს, რომ პირზე დანაშაულის ჩადენის ექვის მიტანა არ ეწინააღმდეგება კონვენციას. ცხადია, რომ სინამდვილეში წინააღმდეგობა არ არსებობს. ექვი გულისხმობს, რომ პირი შეიძლება იყოს დამნაშავე და არა იმას, რომ ის აუცილებლად დამნაშავეა. თუმცა აუცილებელია ამ თავის დაწყება გარანტიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ტექსტუალური ელემენტის განხილვით.⁸⁵

პრეზუმფცია განსაზღვრავს ფსიქოლოგიურ გარემოს, რომელშიც უნდა გამხორციელდეს საქმის ანხილვა და პროცესის მწარმოებელი ორგანოს/ სახელმწიფოს მხრიდან იმ პირთან ურთიერთობის ხასიათს და მოპყრობას, ვის მიმართაც არსებობს დანაშაულის ჩადენის ექვი, იმისდა მიუხედავად დაწყებულია თუ არა მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა, ბრალდებულისადმი მოპყრობა არ უნდა გამორიცხავდეს მის უდანაშაულობას. დაუშვებელია ნებისმიერი ღონისძიების განხორციელება და განცხადება, რომელიც ისეთ წარმოდგენას ქმნის, თითქოს პირის ბრალეულობა დადგენილია. მაგალითად, გამოძების ორგანოს განცხადება, რომ განახორციელეს დამნაშავე პირის ცხელ კვალზე დაკავება.⁸⁶

სსსს კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი ყურადღებას ამახვილებს მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილ ექვზე. სისხლის სამართალწარმოებაში მტკიცებულება ფასდება დასაშვებობის, რელევანტურობის, საკმარისობის და უტყუარობის პრინციპით.

ლოგიკური თვალსაზრისით, პრეზუმფცია არის ჰიპოთეზა, ფიქციური პოზიცია, რაც ნებისმიერი ექსპერიმენტის ან მეთოდური კვლევის ამოსავალი წერტილია და რომელსაც მივყავართ ჰიპოთეზის დადასტურებამდე ან უარყოფამდე. თუმცა არც ეს არის დამაჯერებელი ინტერპრეტაცია. სისხლის სამართალწარმოება ხორციელდება არა იმ ჰიპოთეზაზე დაყრდნობით, რომ ბრალდებული უდანაშაულოა, არამედ მისი სავარაუდო დამნაშავეობის საფუძველზე. სწორედ „ექვი“ უდევს საფუძვლად სისხლისსამართლებრივ დევნას.⁸⁷

ბრალდებულს მსჯავრი უნდა დაედოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო დარწმუნდება მის ბრალეულობაში. ექვის არსებობის შემთხვევაში მიღებულ უნდა იქნეს სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი. იმ დუბიო პრო რეო-ს პრინციპი მოქმედებს მაშინ, როდესაც სასამართლო ვარაუდობს და დარწმუნებული არ არის ბრალდებულის დამნაშავეობაში. აღნიშნული პრინციპის შინაარსი არ უნდა იყოს იმგვარად გაგებული, თითქოს ბრალდებული

⁸⁵ შ.ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009. გვ. 179

⁸⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015 გვ. 53

⁸⁷ შ.ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009. გვ. 180

ყოველთვის უნდა გამართლდეს, როცა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლოს მის ბრალეულობასთან დაკავშირებით ეჭვი უნდა გასჩენოდეს. ეს ვალდებულება სასამართლოს მაშინ უჩნდება, თუკი მას შესაბამისი ეჭვი ფაქტობრივად გააჩნია.⁸⁸

შესაბამისად, *in dubio pro reo* განიმარტება შეზღუდულად: 1) ეხება მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და 2) ეჭვს, რომლის დადასტურება ვერ ხერხდება.⁸⁹

ერთ-ერთ საქმეში განმცხადებელი, რომელსაც ბრალად ედებოდა არასრულწლოვანზე სექსუალური ძალადობა, გამოთქვამდა უკმაყოფილებას, რომ სამართალწარმოების შეწყვეტით მას წაერთვა საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცების საშუალება. მოსამართლემ, რომელიც პასუხისმგებელი იყო წინასწარ გამოძიებაზე, გამოიყენა ისეთი ფორმულირებები, რომლებიც ხაზს უსვამდა მის წინააღმდეგ სერიოზული ეჭვის არსებობას, რაც, თავის მხრივ, გახდა იმის მიზეზი, რომ განმცხადებლის ყოფილმა ცოლმა უარი უთხრა მას საკუთარი ბავშვის მონახულებაზე. სასამართლოს წევრების უმრავლესობამ ჩათვალა, რომ ადგილი არ ჰქონდა დარღვევას. სასამართლომ გაიმეორა, რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სიტყვების შერჩევას, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მხოლოდ ეჭვების გამოთქმას⁸⁹⁴. საკმაოდ დამაჯერებელ განსხვავებულ აზრში, მოსამართლე როზაკისმა მიუთითა, რომ გამოყენებულმა სიტყვებმა გათქვა მოსამართლის დამოკიდებულება, რომ განმცხადებელს დამნაშავედ თვლიდა. სხვა სიტყვებით, მან განაცხადა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ბრალდებული არის დამნაშავე, თუმცა, სამწუხაროდ, მეეჭვება, რომ შესაძლებელი იყოს მის ბრალეულობაში სასამართლოს დარწმუნება მტკიცებულებებში არსებული სუსტი ელემენტების გამო“. რთულია არ დაეთანხმო მოსამართლე როზაკისს, რომ ეს წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას.⁹⁰

4.3. თავისუფლების პრეზუმფცია

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი უნდა იყოს თავისუფალი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადასტურდა მისი დაპატიმრების აუცილებლობა. ამგვარი აუცილებლობა შეიძლება არსებობდეს, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიძალავა ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

⁸⁸ <https://mimomxilveli.wordpress.com/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული- 21.05.2021

⁸⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 53

⁹⁰ შ.ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, გვ. 210

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია ადამიანის თავისუფლების უფლება. აღნიშნული უფლება ადამიანს იცავს სამართალწარმოების ფარგლებში არამართლზომიერი და თვითნებური თავისუფლების შეზღუდვისგან.⁹¹

თავისუფლების აღკვეთა ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.⁹²

თავისუფლების პრეზუმფცია გულისხმობს თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევების და ხანგრძლივობის მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის და მინიმალური ხანგრძლივობით გამოყენებას, საჯარო ინტერესის არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, შეუძლია გადაწონოს პიროვნების თავისუფლების მოთხოვნა.⁹³

თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, რაც გულისხმობს, რომ უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის, მაგრამ ექვემდებარება მკაცრ სასამართლო კონტროლს. თავის მხრივ, სასამართლომ პირის თავისუფლებაში ჩარევის ნებისმიერი ღონისძიება უნდა განიხილოს უდანაშაულობის პრეზუმფციისა და საქმის სამართლიანი განხილვისთვის პირის თავისუფლების მნიშვნელობის ფონზე. შესაბამისად, მოსალოდნელი საფრთხეები ვერ გადაწონის თავისუფლების სასარგებლოდ არსებულ პრეზუმფციას, თუ უტყუარი, რელევანტური და საკმარისი მტკიცებულებებით არ იქნება დადასტურებული პირის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობა. სასამართლომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს უფლებათა და თავი სუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას.⁹⁴

ადამიანის უფლებების ინსტრუმენტები განსაზღვრავენ თავისუფლების პრეზუმფციას და მათი მიზანია უზრუნველყონ, რომ არავის წაერთვას თავისუფლების უფლება თვითნებურად ან ჯეროვანი დასაბუთების გარეშე 2 ტერმინს „თვითნებურს“, უნდა მიეცეს ფართო ინტერპრეტაცია, რომელიც თავის თავში მოიცავს „შეუსაბამობის, უსამართლობის და წინასწარგანჭვრეტადობის არარსებობის ელემენტებს. წინასწარ განჭვრეტადობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა კანონიერი საფუძვლის არსებობა, რომელიც დაადგენს კრიტერიუმებს და განსაზღვრავს პროცედურებს პიროვნებისთვის უფლების შესაზღუდად. თვითნებობის აკრძალვა სცდება ეროვნულ კანონთან შესაბამისობას, რაც ნიშნავს, რომ თავისუფლების შეზღუდვა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს. თანაზომიერებისა და აუცილებლობის

⁹¹ საქართველოს იურისტთა ასოციაცია, „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები“, გვ. 17

⁹² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 13(2)

⁹³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 57

⁹⁴ საქართველოს იურისტთა ასოციაცია, „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები“, გვ. 17

მოთხოვნებში იგულისხმება ნაკლებად შემზღუდავი ზომების გამოყენება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, და პატიმრობის რაც შეიძლება მოკლე ვადით შეფარდება.

თავი IV. მედიის როლი სამართლებრივ საკითხებში

4.1. დადებითი მხარე

მედიის მიერ სამართალწარმოების გაშუქებას შეიძლება მოჰყვეს უდანაშაულობის პრეზუმფციისთვის საზიანო შედეგები. თუმცა საზოგადოების ინფორმირება სისხლის სამართლის საქმის შესახებ სრულიად კანონიერია, თუნდაც საქმის მოსამზადებელ ეტაპზე. მნიშვნელოვანია, რომ განცხადებები, რომლებიც ბრალდებულს დამნაშავედ წარმოაჩენს, თავიდან იქნეს აცილებული.⁹⁵

მედია არის უმნიშვნელოვანესი საშუალება კანონმდებელსა და საზოგადოებას შორის პირდაპირი კონტაქტის დასამყარებლად.

ზოგადი შეფასების კუთხით თუ ვიმსჯელებთ, მედია და სამართალი - ორი ერთმანეთისგან განყენებული ფენომენია, მაგრამ თუ დაწვრილებით განვიხილავთ, ზემოაღნიშნულ ორ ინსტიტუტს, ერთმანეთთან მეტად მჭიდრო კავშირი გააჩნიათ. სისხლის სამართალი, როგორც სამართლის დარგის შემადგენელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი თავისი მიზნების მისაღწევად იყენებს მედიას, თავის მხრივ მედიაც, ხშირად პოპულარიზაციის მიზნით, კავშირშია სისხლის სამართალთან.⁹⁶

ტელევიზიის მეშვეობით ხშირად გადის სარეკლამო რგოლები მოწოდებით საზოგადოებისადმი, რომ ითანამშრომლონ პოლიციასთან. ასევე აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენს საკანონმდებლო ნოვაციების რეკლამირება. მაგალითად, აქტიური რეკლამა ხდებოდა სისხლის სამართალში შემოტანილი ისეთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ნოვაციისა, როგორც არის - ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ბუნებრივია, სამართლებრივადაც, რომ მედია არა მარტო სისხლის სამართლის კანონმდებლობის პოპულარიზაციას უწყობს ხელს და ეხმარება საგამოძიებო ორგანოებს, არამედ ასევე მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს საზოგადოებაში სამართლებრივი ცოდნის ამაღლებას.⁹⁷

აქ ორი სიკეთის თანაფარდობასთან გვაქვს შეხება, პირველი - საზოგადოების უფლება მიიღოს და გაავრცელოს დაუბრკოლებლად ინფორმაცია, ხოლო მეორე - ის მავნე ეფექტი, რაც გამოიხატება აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების შედეგში საზოგადოების დაშინებასა და

⁹⁵ შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009. გვ 190

⁹⁶ ვ. დაუთაშვილი, ა. კონცელიძე. მედია და სისხლის სამართალი, კულტურათაშორისი კომუნიკაციები., 2012, N17. გვ. 69

⁹⁷ ზ. ადეიშვილი, მედია და სამართალი, თბ., 2004. გვ. 41-42

ტერორში, მაგალითად 2008 წელს საქართველო-რუსეთის ომის დროს განვითარებულ მოვლენებში ამ დროს მედია აქტიურად მუშაობდა ცხელ წერტილებში და პერიოდულად აწვდიდა ინფორმაციას საზოგადოებას. ხშირ შემთხვევაში ტელევიზიით ნაჩვენები შეტაკების და აფეთქების კადრები დამაშინებელ ეფექტს ახდენდა ადამიანებზე, მაგრამ ამავდროულად წარმოადგენდა საჭირო ინფორმაციასაც.⁹⁸

4.2. უარყოფითი მხარე

ახლა კი განვიხილოთ უარყოფითი მხარე ანუ ის წინააღმდეგობები და პრობლემები, რომლებსაც ვაწყდებით მედიისა და სისხლის სამართლის ურთიერთშეხების პროცესში, რამაც შეიძლება მედიის მიერ ბრალდებულის დამნაშავედ ქცევის საფრთხე შექმნას.⁹⁹

მიუხედავად იმისა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია გარანტირებულია კონსტიტუციითა და საკანონმდებლო დონეზე, პრაქტიკაში მის დარღვევას ყოველდღიური ხასიათი აქვს. ფაქტობრივად ყოველდღე, ტელევიზიის ახალ ამბებში აჩვენებენ სიუჟეტებს (მათ შორის შესაბამისი ლოგოთი, რომლითაც დასტურდება, რომ მასალები მოწოდებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა თუ საგადასახადო ორგანოების მიერ), რომლებიც ეხება დანაშაულის (ბრალდების) საქმეებს, სადაც ნაჩვენებია დაკავებულ ექვმიტანილთა სახეები და იდენტიფიცირებულია მათი სახელები. მეტიც, დაკავებულ პირთა „აღიარებითი ჩვენებები“, აგრეთვე სატელეფონო მიყურადებისა თუ საიდუმლო თვალთვალის ამსახველი მასალა ხშირად გადაიციმა მედიასაშუალებების მიერ. პოლიციის საჯარო წარმომადგენლები (სპიკერები) ხშირად უთითებენ ექვმიტანილებზე, როგორც პირებზე, რომლებიც „დაპატიმრებულ“ იქნენ დანაშაულთან დაკავშირებით. უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის საფრთხეს ასევე ქმნის საქართველოში წინასწარი პატიმრობის შეფარდების ძალზედ დიდი რაოდენობა. 2010 წელს, პროკურატურის მიერ ადგილობრივი სასამართლოების წინაშე დაყენებული აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობების 92.6 პროცენტზე მეტი დაკმაყოფილდა. (2009 წელს – 94 პროცენტამდე; 2008 წელს 95 – პროცენტამდე). ამასთან ერთად, არ არსებობს ნორმა, რომელიც 410 სსკ-ს 169-ე მუხლი. 411 საქართველოს კონსტიტუციის 8-ე მუხლი. 412 სსკ-ს მე-5 მუხლი.

⁹⁸ ტ. მირზაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი, „უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები“, თბ., 2019, გვ. 38-39

⁹⁹ ს. ჯორბენაძე ს. უ. ბახტაძე .ზ. მაჭარაძე . მედიასამართალი, თბ., 2014, გვ. 181

საქართველო უკრძალავს მოსამართლეს, რომელმაც შეუფარდა პირს წინასწარი პატიმრობა, განიხილოს აღნიშნული საქმე არსებითად.¹⁰⁰

როდესაც საჯარო მოხელეებს ხშირი ურთიერთობა აქვთ მედიასთან, მათი თითოეული სიტყვა მიეწოდება საზოგადოებას და განხილვის საგნად იქცევა. მათი, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლების როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია. დანაშაულთან დაკავშირებული საკითხების სწორად მიწოდება სახელმწიფოს კიდევ ერთი ვალდებულებაა, რათა დაცულ იქნას უდანაშაულობის პრეზუმფცია და შენარჩუნდეს ბალანსი მედიის თავისუფლებასა და ინდივიდის უფლებებს შორის, რომლის მიმართაც სასამართლოს ჯერ კიდევ არ გამოუტანია გამამტყუნებელი განაჩენი.¹⁰¹

სამწუხაროდ, თანამედროვეობაში საკმაოდ ხშირია უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, რაც დაუსაბუთებლად ხელყოფს ბრალდებულის კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესებს, მათ შორის, მასობრივი მედიის საშუალებების მიერ. საკმარისია პირის დაკავება ან დაპატიმრება და ის მაშინვე ცხადდება „დამნაშავედ“, ხოლო წინასწარი გამოძიების მონაცემები მიჩნეულია, როგორც საბოლოო. უდანაშაულობის პრეზუმფცია მდგომარეობს იმაში, რომ როგორი აშკარაც არ უნდა იყოს პირის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში, ეს არ არის საკმარისი საფუძველი მისი დამნაშავედ გამოცხადებისათვის, ვინაიდან სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე უცნობია დანაშაულის ჩადენის მოტივი, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის როლი დანაშაულის ჩადენაში და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები.

უაღრესად აქტუალური და პრობლემური საკითხი მედიასთან მიმართებაში არის ასევე ის, რომ ქვეყანაში შიდა არეულობის დროს ხშირად მედია ასრულებს წამქეზებლის როლს, რომელსაც შეუძლია სამოქალაქო ომიც კი გამოიწვიოს. რა თქმა უნდა, უფრო უპრიანია, თუ მედია ორიენტირებული იქნება თავისი ფუნქციების შესრულებაზე და არა პოლიტიკური მდგომარეობის დამაბზავზე ან პოლიტიკური შუღლის ჩამოგდებაზე ქვეყანაში, რაც არავისთვის არ არის სარგებლის მომტანი.¹⁰²

უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც უმნიშვნელოვანესი საპროცესო გარანტია ეფუძნება აგრეთვე სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს. სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრების მიზანი ჯერ კიდევ საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაშია გამოხატული.¹⁰³

¹⁰⁰ ე. კეიპი, ზ. ნამორაძე, ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა აღმოსავლეთ ევროპაში, გვ. 56

¹⁰¹ ს. ჯორბენაძე, უ. ბახტაძე, ზ. მაჭარაძე, წიგნში: მედიასამართალი, რედ. ჯორბენაძე ს. თბილისი 2014, გვ. 56

¹⁰² ვ. დაუთაშვილი, ა. კონცელიძე, მედია და სისხლის სამართალი, კულტურათაშორისი კომუნიკაციები 2012, N17. გვ. 72

¹⁰³ <https://www.myadvokat.ge/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული- 21.05.2021

სახელმწიფოს წარმომადგენელია ნებისმიერი საჯარო პირი, რომელიც მედია საშუალებებს აწვდის ინფორმაციას ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. მათ აკისრიათ ვალდებულება დაიცვან საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით დაცული ადამიანის უფლებები. სახელმწიფო ოფიციალური პირები განაჩენის გამოტანამდე ხშირად აკეთებენ განცხადებებს, რომელშიც საუბარია ბრალდებულების ან გამოძიებაში მყოფი პირების სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე.¹⁰⁴

საქართველოში ხშირია შემთხვევები როდესაც საჯარო მოხელეებს ჟურნალისტები გარკვეული პოლიტიკური პირებისა თუ საზოგადოების წევრების მიმართ წაყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით კომენტარების გაკეთებას სთხოვენ. მაგალითად ერთ-ერთმა ინტერნეტ ჟურნალმა დეპუტატებს სთხოვა შეეფასებინა პ. უ-ს მიმართ გამოთქმულ ბრალდებასთან დაკავშირებით, რომელშიც მას სექსუალური შევიწროების ფაქტთან დაკავშირებით ამხელდნენ, კომენტარების გაკეთება. ჟურნალში ვკითხულობთ დეპუტატების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს „ამ ფაქტებს დადასტურება სჭირდება. არ მაქვს ინფორმაცია ეს ფაქტები რეალურია თუ არა. სახალხო დამცველის დასკვნას არ გავცნობივარ, თუ ასეთი ფაქტი დადასტურდა, ამის გამართლება არ შეიძლება და შესაბამისი რეაგირება უნდა მოჰყვეს“, - უთხრა ჟურნალს ერთ-ერთმა პოლიტიკური პარტიის წევრმა“. „ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში არსებობდა ომბუდსმენის დასკვნა და მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ საქმის კურსში და არანაირი რეაგირება არ მოხდა. დაუშვებელია, რომ ხელს აფარებდნენ თავის თანამშრომელს, ვინც არ უნდა იყოს ის. ამ ყველაფერს სამართლებრივი რეაგირება სჭირდება“, - გამოთქვამს ერთ-ერთი მათგანი, ამ მცირე სტატიაში ორ სხვადასხვაგვარ მოსაზრებას ვაწყდებით. პირველ შემთხვევაში უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა არ ფიქსირდება, თუმცა მეორე განცხადების შემთხვევაში უკვე სახეზეა უდანაშაულობის პრეზუმფციის უგულებელყოფა. „დაუშვებელია, რომ ხელს აფარებდნენ თავის თანამშრომელს“ ეს გამონათქვამი თავისთავად უკვე ნიშნავს, რომ პირის მიმართ წინასწარ ჩამოყალიბებულია აზრი მისი დამნაშავეობის შესახებ რაც პირდაპირ არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას.¹⁰⁵

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ნორმებს პირის უდანაშაულობის პრეზუმფციის შესახებ, კანონმდებლობაში ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული უფლებადარღვევის პრევენციის მექანიზმები და აღნიშნული უფლების დაცვის ეფექტური გარანტიები. კანონმდებლობაში

¹⁰⁴ ეუთო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, ვარშავა 2014, გვ. 73

¹⁰⁵ ტ. მირზაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი, „უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები“, თბ., 2019, გვ. 21

არსებული ხარვეზი პირს არ აძლევს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის შემთხვევაში უფლების ეფექტური აღდგენის შესაძლებლობას. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ კვლავ მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, მოახდინოს შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციის შემუშავება და მიღება, რათა მოქალაქეებმა შეძლონ თავიანთი პროცესუალური უფლებების ქმედითი რეალიზაცია და მოხდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ფაქტების თავიდან აცილება.¹⁰⁶

როგორ შუქდება სამართლებრივი საკითხები ქართულ მედიაში, აქვთ თუ არა ჟურნალისტებს საკმარისი ცოდნა სამართლებრივი საკითხების გასაშუქებლად და რამდენად ვიცავთ დაკავებულთა უდანაშაულობის პრეზუმფციას? გავრცელებული მოსაზრება, რომ მედია არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას თავად, არასწორია. მედია ვერ დაარღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას, ვინაიდან უდანაშაულობის პრეზუმფცია გულისხმობს, რომ ბრალდების ტვირთი ეკისრება გამოძიებას და ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე ამას არ დაადგენს სასამართლო. უდანაშაულობის პრეზუმფცია ეხება სისხლის სამართლის საქმეებს. მაგრამ მედიამ შეიძლება დაარღვიოს ჟურნალისტური სტანდარტი და ეჭვმიტანილი მოიხსენიოს დამნაშავედ, სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.¹⁰⁷

საზოგადოების ინფორმირება სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების შესახებ ბრალდებულის ვინაობის მითითებით, ბრალდებულის ფოტოსურათის გამოყენება ან ბრალდებულის დაკავება/დაპატიმრების შესახებ ინფორმაციის გაშუქება არ არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას, თუ საქმის გარემოების გაშუქების ან/და კომენტარებისას ბრალდებული არ ცხადდება დამნაშავედ შესაბამისი ქმედებს ჩადენაში. მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს განცხადებები იმის შესახებ, რომ მოცემული პირი ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაში და განცხადება იმის შესახებ, რომ კონკრეტულმა ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული. სასამართლო ვალდებულია სიფრთხილე გამოჩინოს პრესასთან ურთიერთობისას და, ცალკეულ შემთხვევაში, უარი თქვას სამართალწარმოების კომენტარებაზე პროვოკაციის შემთხვევაშიც კი. დარღვევას აქვს ადგილი, როდესაც მაღალი თანამდებობის პირები აკეთებენ განცხადებებს ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ, რაც ფართოდ შუქდება და ტირაჟირდება მედიის საშუალებით, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანის

¹⁰⁶ საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, (GDI) „ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ“ თბ., 2013 წლის მეორე ნახევარი გვ. 7

¹⁰⁷ ე. ჩაფიძე, სამართლებრივი საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში, თბ., 2011, გვ 1

შემთხვევაში სასამართლოს მიერ გამართლებულისთვის კომპენსაციის გაცემაზე უარის თქმა მის უდანაშაულობასთან დაკავშირებით არსებული ექვის საფუძველზე (მაგალითად, ბრალის დაუდასტურებლობის, ამნისტიის, ბრადებაზე უარის თქმის გამოსამართალწარმოების დასრულებისას), განაჩენის დადგენამდე მოსამართლის/სასამართლოს განცხადება, რომელიც შეიცავს მოსაზრებას ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ; განაჩენის გამოტანამდე, პრესასთან საქმის კომენტარებისას მოსამართლის მიერ განცვიფრების გამოხატვა ბრალდებულის მიერ საკუთარი უდანაშაულობის მტკიცებასთან და წაყენებული ბრალის უარყოფასთან დაკავშირებით;¹⁰⁸

ტელეკომპანიებისათვის სამართლებრივი თემატიკის გაშუქების სტანდარტს და ვალდებულებას უზრუნველყოფს მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, რომელსაც სავალდებულო ძალა აქვს. კერძოდ: მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, 2009 წლის 9 მარტი; ამას გარდა, საქართველოში არსებობს მედია-ეთიკის ქარტია, რომელზე ნებაყოფლობითი ხელმომწერებისთვისაც ასევე სავალდებულოა მედიასტანდარტების დაცვა სამართლებრივი საკითხების გაშუქების დროს. მუხლი 48. დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქების პრინციპი მაუწყებელმა არ უნდა გადასცეს ისეთი მასალა, რომელმაც შესაძლოა წააქეზოს ან წაახალისოს დანაშაული ან გამოიწვიოს საზოგადოებრივი არეულობა და ანტისოციალური ქმედება. დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქებისას, მაუწყებელმა უნდა დაიცვას ბალანსი, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებასა, ხოლო მეორე მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმფციასა და ექვიტანსილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის.¹⁰⁹

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს დაიცვან უდანაშაულობის პრეზუმფცია და არა ინდივიდებს ან პრესას. სახელმწიფო ვერ იქნება პასუხისმგებელი პრესის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პრესა ხელისუფლების ორგანოებისაგან და საჯარო მოხელეებისგან მიღებულ ინფორმაციას ეფუძნება. რაც ნიშნავს იმას რომ მედია საშუალებებმა შესაძლოა დაარღვიონ უდანაშაულობის პრეზუმფცია.¹¹⁰

საქართველოში ძირითადად ოთხი მედია საშუალება ფუნქციონირებს, ესენია: ბეჭდური მედია, რადიომაუწყებელი, ტელემაუწყებელი და ინტერნეტმედია. ჩვენს ქვეყანაში ყველაზე პრობლემური რეგულირების თვალსაზრისით არის ინტერნეტსივრცის სამართლებრივი

¹⁰⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 51

¹⁰⁹ მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, დანაშაული და ანტისოციალური ქმედება, თავი XII, 2009

¹¹⁰ ტ.მირზაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი, “უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები“, თბ., 2019, გვ. 15

მოწესრიგება. ჟურნალისტები ძირითად შემთხვევაში ცდილობენ სენსაციური ინფორმაცია მოიპოვონ და ავიწყდებათ, რომ მათ მიღებული ინფორმაცია ობიექტურად და ეთიკის ნორმების დაცვით უნდა გაშუქდეს. ჟურნალისტები ზოგ შემთხვევაში ჭორის დონეზე მოპოვებულ ინფორმაციასაც აშუქებენ, რაც ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევადაც შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ არსებობს სიტყვის თავისუფლება, რომელიც ისეთი აზრის გავრცელებასაც გულისხმობს, რომელიც შესაძლოა ბევრისთვის უსიამოვნო ან არასასურველი იყოს.¹¹¹

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები. გამოხატვის თავისუფლება, რომელშიც მედიის, სიტყვის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღების თავისუფლებაც მოიაზრება არ არის აბსოლუტური უფლება. იგი ძალიან მნიშვნელოვანი უფლებაა დემოკრატიული საზოგადოების არსებობისთვის, თუმცა გამოხატვის თავისუფლება სხვათა უფლებებით დეტერმინირებული და მიზეზ-შედეგობრივად განპირობებული უფლებაა. სასამართლოებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ ნებისმიერი ძირითადი უფლება უფლებრივი წესრიგის ნაყოფია და, შესაბამისად, მისი მოქმედების ფარგლები ისე უნდა განისაზღვროს, რომ ზიანი არ მიადგეს ამ წესრიგს.¹¹²

დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი პირი არ შეიძლება დამნაშავედ იქნას წარმოდგენილი მანამ, ვიდრე მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დამტკიცდება კანონით გათვალისწინებული წესით და არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენით“. მიუხედავად ამისა ხშირ შემთხვევაში გვხვდება ისეთი რეპორტაჟები რაც პირდაპირ არღვევს ბრალდებულისთვის მინიჭებულ ფუნდამენტურ უფლებას, უდანაშაულობის პრეზუმფციას, რომელიც მთელ მის დაცვის უფლებას უზრუნველყოფს სასამართლო პროცესისა და გამოძების ეტაპზე.¹¹³

მონიტორინგის პერიოდში გამოვიდა გაზეთ „კვირის პალიტრის“ 4 ნომერი. ამ ნომერში გამოქვეყნებულია 161 სტატია. მათგან 13 პუბლიკაცია სამართლებრივ საკითხებს ეხება. „კვირის პალიტრაში“ არ ვხვდებით სასამართლო პროცესების გაშუქებას და სისხლის სამართლის საქმეების განხილვას.¹¹⁴

¹¹¹ ტ.მირზაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი, „უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები“, თბ., 2019, გვ. 28

¹¹² საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. მუხლი 44. თბ., 2013, გვ. 275

¹¹³ ტ. მირზაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი, „უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები“, თბ., 2019, გვ. 29

¹¹⁴ ე. ჩაფიძე, სამართლებრივი საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში, თბ., 2011, გვ 10

ერთ-ერთი სტატია, რომელშიც სტანდარტი ცალსახადაა დარღვეული, გაზეთის ამავე ნომერში გამოქვეყნებული „შემზარავი რეალობა“, რომელსაც ავტორი არ ჰყავს. სტატიის ავტორი, მართალია, დედა-შვილ ოჩხიკიძეებს, რომლებიც სტამბულში 11 წლის ფირათ სეზერის მკვლელობის ბრალდებით დააკავეს, თავდაპირველად ეჭვმიტანილებად მოიხსენიებს, მაგრამ შემდეგ წერს: „ერთ-ერთი მორიგი კონფლიქტის დროს ვიოლა ოჩხიკიძემ 11 წლის ბიჭს ჯერ თავში ჩაქუჩი რამდენჯერმე ჩაარტყა (რასაც ეკატერინე ოჩხიკიძეც ესწრებოდა), შემდეგ უკვე გარდაცვლილი ბავშვი აკუწა და ტომარაში ჩაყარა – უნდოდა, ქუჩის სანაგვეში ჩაეგდო. აღშფოთებული მოსახლეობა მკვლელების სიკვდილით დასჯას ითხოვს“. ბუნებრივია, დანაშაულის საშინელების მიუხედავად, არავინ იცის, რას დაადგენს გამოძიება. უდანაშაულობის პრეზუმფცია სწორედ იმ ადამიანებისთვის არსებობს, ვისაც ასეთ მძიმე დანაშაულშიც კი ედებათ ბრალი. პოლიცია რომც არღვევდეს უდანაშაულობის პრეზუმფციას, ჟურნალისტმა უნდა დაიცვას მედია-ეთიკის სტანდარტი. A ფაბულის აღწერისას ჟურნალისტმა უნდა მიუთითოს, ვის ეყრდნობა ის: პოლიციელის, ბრალდების მხარის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას თუ სხვა წყაროს. უნდა მოიხსენიოს დაკავებული ეჭვმიტანილად. ასევე, სასურველია, გვეჩვენოს დაცვის მხარის არგუმენტებიც. რაც მთავარია, ჟურნალისტი ისე არ უნდა აღწერდეს ფაქტებს, თითქოს ის თავად ესწრებოდა ჩადენილ დანაშაულს და გვიამბობდეს პირველ პირში.¹¹⁵

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე მიმდინარე სამართალწარმოების თავშეუკავებელმა საინფორმაციო კომპანიამ შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს სამართლიან სასამართლო განხილვაზე, უარყოფითი საზოგადოებრივი არის ფორმირების გზით უბიძგოს სასამართლოს ან/და ნაფიც მსაჯულებს გამოიტანონ გამამტყუნებელი ვერდიქტი/განაჩენი. მედიის გავლენის საფრთხე უფრო მაღალია ნაფიც მსაჯულებზე, ვინაიდან პროფესიული სასამართლოს შემთხვევაში, მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი გამოცდილება და კვალიფიკაცია, რომ უზრუნველყონ საკუთარი მიუკერძოებლობა. ამიტომ, დაუშვებელია, მედიის წრმომადგენლებმა ეჭვქვეშ დააყენონ სამართალწარმოების სამართლიანობა საქმის შედეგის წინასწარ განჭვრეტის გზით ან ზეგავლენა იქონიონ საქმის ბედზე გამხატვის თავისუფლების და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებაზე აპელირებით.¹¹⁶

¹¹⁵ ე. ჩავიძე, სამართლებრივი საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში, თბ., 2011, გვ. 9

¹¹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 51

თავი V. კვლევის შედეგები

კვლევის ყოველი თავი დაწერილია თეორიული მასალის მეშვეობით, რომელთა საბოლოო ანალიზითაც მივედით შედეგებამდე. დასაწყისში სწორედ ამ გამოყენებულ ლიტერატურას მიმოვიხილავთ. შემდეგი თავი ეხება უდანაშაულობის და თავისუფლების ზოგად მიმოხილვას, კერძოდ პრეზუმფციის არსსა და მნიშვნელობას, შემდეგ კი განხილულია მისი წარმოშობის ისტორია და განვითარების ეტაპები. მომდევნო ქვეთავში განხილულია უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნება და ანალიზი. სადაც ვხედავთ, რამდენად სწორად არის გაგებული ცნების მნიშვნელობა, რა შეხედულებები გააჩნდათ ცნების განსაზღვრებასთან მიმართებაში, რამდენად სწორად არის ჩამოყალიბებული ის ქართულ კანონმდებლობაში, აქვე მოგვყავს მაგალითად მეცნიერების დებულებები და რამოდენიმე სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ნათელი მაგალითია. შედარებითი ანალიზის მეთოდით განვიხილავთ მომდევნო ქვეთავებს, სადაც მოცემულია როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კანონმდებლობა, რომელთა შედარებით, ქართულ კანონმდებლობასთან დავინახეთ მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებები.

მომდევნო თავში განხილულია უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფციის სამართლებრივი ასპექტები, სადაც ჩამოთვლილა ის ძირითადი დებულებები, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ, რათა სწორად და ზუსტად მოხდეს აღნიშნული პრინციპის მნიშვნელობის გაგება სამართლის სისტემაში.

შემდეგ თავში მოცემულია მედიის როლი სამართლებრივ საკითხებში, სადაც მნიშვნელოვანი პრობლემაა მედიის მიერ თავისი ქმედებებით ბრალდებულის დამნაშავედ გადაქცევა. მედიის თავისუფლება დაცულია, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, ასევე საქართველოს კონსტიტუციით, მაგრამ მედიასაშუალებები ყოველგვარი კონტროლის გარეშე აშუქებენ ნებისმიერი სახის ინფორმაციას. არის შემთხვევები, როდესაც სისხლისსამართლებრივი საკითხების გაშუქებისას მედია ხშირად არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას და ბრალდებულს ხშირად დამნაშავეს უწოდებს, რაც თავის მხრივ პირის უფლებების შელახვას განაპირობებს. უარყოფითი მხარესთან ერთად დავინახე და განვმარტე ის დადებითი მხარეებიც, რომელიც სამართლებრივ საკითხებსა და მედიას შორის ურთიერთობას ახლავს თან.

როგორც მოცემულ თავებში ვნახეთ, არავის არ აქვს უფლება დაარღვიოს უდანაშაულობის პრეზუმფცია, მაგრამ ვინ შეიძლება იყვნენ ამ უფლების ადრესატები? და რა მასშტანით

ვრცელდება იგი? უნდა აღვნიშნოთ, რომ პრეზუმფცია ვრცელდება, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე, და მისი დაცვის ვალდებულება მედიის გარდა, გააჩნია ხელისუფლების ყველა შტოს, პროცესის მონაწილეებსა და ბრალდების მხარეს.

დასკვნა

ნაშრომის დასასრულს, დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, მოცემული საკითხი უმნიშვნელოვანესი და საკვანძოა სისხლის სამართალწარმოებისთვის, უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფცია უაღრესად დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს ბრალდებულის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისთვის. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ მას ფუნდამენტალური მნიშვნელობა გააჩნია სისხლის სამართლის პროცესისთვის, ეს არის უფლება, რომელიც ბრალდებულს საშუალებას აძლევს, რომ არ გახდეს საზოგადოებისგან იზოლირებული. უნდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული პრინციპი ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტში განმარტებულია ძალიან უბრალო და ყველასთვის გასაგებ ენაზე. ყველგან ჩადებულია ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია არის უფლება თითოეული ადამიანის, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა და ამასთან ერთად, ის აუცილებლად უნდა იყოს მიჩნეული უდანაშაულოდ.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის არსის გაგებას არ გააჩნია ერთიანი თვალსაზრისი, რომელიც უკვე განვიხილეთ გარკვეული დებულებებით და მეცნიერთა შეხედულებებით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისი არსი დღეს უკვე გასაგებადაა განმარტებული საკანონმდებლო დონეზე, ამაზე მეტყველებს ისიც, ყველა ის აქტი, სადაც უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფციაა განმტკიცებული, ერთიანად აცხადებენ, რომ თითოეული პირი მიიჩნევა უდანაშაულოდ, სანამ მისი დამნაშავეობა კანონის შესაბამისად არ დამტკიცდება, აქედან გამომდინარე ჩვენ თვითოვე უნდა შევეცადოთ რომ პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ თითოეულ სიტყვასა და საქციელს რათა თავიდან ავირიდოთ უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფციის დარღვევა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ სახელმწიფოს გარდა, ფართოა სუბიექტა წრე, რომლებსაც უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა ევალებათ, ასევე მედია წარმოადგენ იმ მნიშვნელოვან რგოლს, რომელიც დიდ როლს თამაშობს მოცემულ საკითხში, შესაბამისად ვფიქრობ რომ, უნდა არსებობდეს ზღვარი სიტყვის თავისუფლებასა და იმ ქმედებებს შორის, რაც იწვევს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI), „ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ,“ 2013;
2. ადგიშვილი ზ, მედია და სამართალი, თბ., 2004;
3. დაუთაშვილი პ, კონცელიძე ა, მედია და სისხლის სამართალი, კულტურათაშორისი კომუნიკაციები., 2012, N17;
4. ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ, ვარშავა., 2014;
5. ეუთო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, საქართველო., ვარშავა., 2016;
6. ეუთო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო., „სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში საქართველო“, ვარშავა., 2014;
7. თანდილაშვილი ხ., პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია;
8. იურიდიული ტერმინოლოგია, თბ., 1963;
9. კახიაშვილი ა., „უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლოდელ სტადიებზე“, თბ., 1998;
10. კეიპი ე, ნამორაძე ზ, ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა აღმოსავლეთ ევროპაში;
11. ლეკიაშვილი ნ., სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: „უდანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი პრინციპის, რეალიზების პრობლემები“, თბ., 2020;
12. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, დანაშაული და ანტისოციალური ქმედება, თავი XII, 2009;
13. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, დანაშაული და ანტისოციალური ქმედება, თავი XII, 2009;
14. მეტრეველი ვ., რომის სამართალი, თბ., 1995;
15. მირზაშვილი ტ., „უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები“ თბ., 2019;
16. საქართველოს იურისტთა ასოციაცია, „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები“
17. საქართველოს იურისტთა ასოციაცია, „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები“
18. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013;

19. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი.
20. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015;
21. ტრექსელი შ., "ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში", თბ., 2009;
22. ჩაფიძე ე, სამართლებრივი საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში, თბ., 2011
23. ჯორბენაძე ს, ბახტაძე უ, მაჭარაძე ზ., მედიასამართალი, თბ., 2014;

ნორმატიული მასალა

24. საქართველოს კონსტიტუცია, 1995;
25. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009;

ვებ. გვერდები:

26. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=6354>
27. <https://jelec.iliauni.edu.ge/mukhli40/>
28. <https://mimomxilveli.wordpress.com>
29. <https://matsne.gov.ge>
30. <https://www.myadvokat.ge>